უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის
მიერ განხორციელებული ღონისძიებები



ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში

www.sao.ge

ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში არსებული განათლების ხარისხს. აქედან გამომდინარე, განათლების ხარისხის განვითარება სახელმწიფოს მუდმივ საზრუნავს უნდა წარმოადგენდეს.

მნიშვნელოვანია, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შეთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამები უზრუნველყოფდნენ სტუდენტების ისეთი განათლებითა და უნარებით აღჭურვას, რაც მათ ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კვალიფიციურ და კონკურენტუნარიან კადრებად ჩამოაყალიბებს. აღნიშნულის მისაღწევად არსებითია განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანი ფუნქციონირება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროგრამული აკრედიტაციის კუთხით განხორციელებული ღონისძიებები. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა სისტემაში არსებული ხარვეზები და ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები.

www.sao.ge
sao@sao.ge
© სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ
განხორციელებული ღონისძიებები

ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში

მიმდინარე ნომერი: 8/36 12.02.2016

სარჩევი

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები 4

შემაჯამებელი მიმოხილვა 5

1. შესავალი 7
აუდიტის მოტივაცია 9
აუდიტის პრობლემა და მთავარი კითხვა 11
აუდიტის კრიტერიუმები 11
აუდიტის მასშტაბი და მეთოდოლოგია 13

2. აუდიტის შესწავლის საგნის მიმოხილვა 15
2.1 უმაღლესი განათლების სისტემა საქართველოში 15
2.2 განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი 17
2.3 აკრედიტაციის პროცესი 20
2.3.1 სააკრედიტაციო დოკუმენტაცია 22
2.3.2 აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსი 23
2.3.3 აკრედიტაციის საბჭო 26
2.3.4 შემდგომი რეაგირების სისტემა 27

3. აკრედიტაციის სტანდარტები და თვითშეფასების ანგარიშები 28
3.1 შეფასების კრიტერიუმები და შესრულების ინდიკატორები მკაფიოდ
განსაზღვრული და წინასწარ გამოქვეყნებული არ არის 29
3.2 განსხვავებული სტანდარტების იდენტური კრიტერიუმებით დაკმაყოფილება 32

4. ექსპერტთა კორპუსი 35
4.1 ექსპერტთა კორპუსის არაპროდუქტიული გამოყენება 35
4.2 ექსპერტთა შეფასებისა და შემდგომი რეაგირების სისტემის არარსებობა 41

5. გადაწყვეტილების მიღება და შემდგომი რეაგირება 43
5.1 გადაწყვეტილების მიღების პროცედურის და რესურსების არაერთგვაროვნება 43
5.2 შემდგომი რეაგირება - არაეფექტიანი სისტემა 47

შემაჯამებელი დასკვნა და რეკომენდაციები 50

ბიბლიოგრაფია 54

დანართები 57

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები

აკრედიტაციის ვიზიტი - ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში

თვითშეფასების ანგარიში - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში

თვითშეფასების ყოველწლიური ანგარიში - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ყოველწლიური ანგარიში

თსუ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საბჭო - საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო

სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი

უსდ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

სამინისტრო - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ცენტრი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

ACT - ანალიზისა და კონსულტირების ჯგუფი, საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და სტრატეგიული კონსალტინგის განმახორციელებელი ორგანიზაცია

CDA - ჩეხეთის განვითარების სააგენტო

EMCDDA - წამლებისა და წამალ-დამოკიდებულების მონიტორინგის ევროპული ცენტრი

ENQA - ევროპული უმაღლესი განათლების სივრცეში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ევროპული ასოციაცია

EPPM - განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ცენტრი

ESG - ევროპული უმაღლესი განათლების სივრცეში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ევროპული ასოციაციის მიერ შემუშავებული სტანდარტები და გაიდლაინები

G-PAC - საქართველოში საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება

USAID - ამერიკის შეერთებული შტატების სააგენტო საერთაშორისო განვითარებისათვის

შემაჯამებელი მიმოხილვა

ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული უმაღლესი განათლების ხარისხზე. აქედან გამომდინარე, უმაღლესი განათლების სტაბილური სისტემისა და სამეცნიერო სფეროს განვითარება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად არის განსაზღვრული. სტრატეგიის თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს უმაღლესი განათლების სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა, მუდმივად იზრუნოს მისი ხარისხის განვითარებაზე და მოამზადოს ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი ახალგაზრდები.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების **აკრედიტაციის პროცესი** უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის **ძირითადი გარე მექანიზმია** და ემსახურება ქვეყანაში არსებულ სტანდარტებთან საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობას. სსიპ
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა (შემდგომში - ცენტრი) აღნიშნული პროცესის დანერგვა 2010 წლიდან დაიწყო. 2011-2015 წლებში ცენტრმა აკრედიტაცია მიანიჭა 73 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ 1,567 პროგრამას. საქართველოში არსებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 132,554 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი ირიცხება, რომელთაგანაც ნახევარზე მეტი იღებს სახელმწიფო დაფინანსებას, რამაც საერთო ჯამში 2015 წელს 73.7 მილიონი ლარი შეადგინა.

უმაღლესი განათლების სექტორში განხორციელებული კვლევების შედეგად დგინდება, რომ საქართველოში უმაღლესი განათლების მქონე პირთა მხოლოდ **24%-ია დასაქმებული და მუშაობს საკუთარი პროფესიით.** აგრეთვე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულების შეფასებით, მათ აკლიათ პროფესიული და პრაქტიკული ცოდნა განათლების შესაბამის სფეროში და მათ მიერ მიღებული **განათლება არ პასუხობს დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს.**

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა **უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების ეფექტიანობის აუდიტი,** რომელიც მოიცავდა ცენტრის მიერ 2011 წლიდან 2015 წლის პირველი ნახევრის ჩათვლით განხორციელებულ ღონისძიებებს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის კუთხით.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ ცენტრს **არ აქვს წინასწარ განსაზღვრული და ერთობლივი სახით გამოქვეყნებული აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები და შესრულების ინდიკატორები.** აღნიშნული აფერხებს ექსპერტების მიერ აკრედიტაციის სტანდარტებთან საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის ეფექტიან შეფასებასა და აკრედიტაციის საბჭოს მიერ საკმარის ინფორმაციაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღებას.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ვიზიტების 29%-ისთვის შერჩეული **ექსპერტთა ჯგუფი არ მოიცავდა ყველა შესაბამისი დარგის ექსპერტს.** ვიზიტების 17.5%-ისთვის შერჩეულ **ექსპერტთა რაოდენობა არ შეესაბამებოდა ვიზიტისას შესაფასებე-**

ლი პროგრამების რაოდენობას. შემთხვევების 29%-ში, ცენტრმა ექსპერტებს აკრედიტაციის **ვიზიტამდე მოსამზადებლად მინიმალურ 5 დღეზე ნაკლები ვადა გამოუყო,** მაშინ, როდესაც საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, მინიმალური ვადა 2 თვეა.

ცენტრს აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად 90 დღე აქვს დადგენილი, რაც მოიცავს ცალკეულ სააკრედიტაციო პროცედურებს (ადმინისტრაციული სამუშაო, სააკრედიტაციო ვიზიტი, და სხვა). ცენტრი ამ ვადის დაახლოებით 1/3-ს იყენებს და **ვერ უზრუნველყოფს დროისა და ადამიანური რესურსების ერთგვაროვან გადანაწილებას** შესაფასებელი საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსისა და კომპლექსურობის გათვალისწინებით. აკრედიტაციის პროცესის ვადების არაადეკვატური გამოყენება უარყოფით გავლენას ახდენს აკრედიტაციის პროცესის ხარისხზე - დაფიქსირდა შემთხვევები როდესაც საბჭოს წევრებს **ერთ დღეზე ნაკლები** ჰქონდათ აკრედიტაციის საბჭოს სხდომისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებისა და თანდართული დოკუმენტაციების შესასწავლად.

აგრეთვე, ცენტრს **არ აქვს დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის აკრედიტაციის მინიჭების შემდგომი რეაგირების მექანიზმი,** რომელმაც უნდა უზრუნველყოს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის მოთხოვნილ დონეზე შენარჩუნება. აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ 2011 წლიდან, ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე **არ განხორციელებულა არცერთი მონიტორინგის ვიზიტი.**

ანგარიშში განხილულია უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების ნაკლოვანებები, ჩატარებული ანალიზისა და გამოტანილი დასკვნების საფუძველზე კი წარმოდგენილია შესაბამისი **რეკომენდაციები**, რომელთა შესრულების შემთხვევაში, შესაძლებელია მნიშვნელოვნად გაიზარდოს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხი.

1. შესავალი

განათლების სისტემის რეფორმირების მიმართულებით საქართველომ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა. გატარდა რიგი რადიკალური რეფორმები, რომლებიც მიზნად ისახავდა პოსტ-საბჭოთა განათლების სისტემის შეცვლასა და რთული ტექნიკური მოთხოვნების მქონე, მზარდი საერთაშორისო კონკურენციის პირობებში სწრაფად ცვალებადი მსოფლიოსთვის უფრო შესაფერისი სისტემის შექმნას. განხორციელებული რეფორმების მიუხედავად, ჯერ კიდევ რჩება გამოწვევები განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის კუთხით.

მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის (საქართველო 2020)[1] თანახმად, უმაღლესი განათლების სისტემისა და სამეცნიერო სფეროს განვითარება საქართველოს მთავრობისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს. უმაღლესი განათლების სისტემამ უნდა უზრუნველყოს ევროპული სტანდარტების შესაბამისი განათლება, მუდმივად იზრუნოს მისი ხარისხის განვითარებაზე და მოიპოვოს საერთაშორისო ნდობა, მოამზადოს ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი ახალგაზრდები. ამ მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ (შემდგომში - სამინისტრო) შეიმუშავა განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების ახალი სტრატეგიული გეგმა, რომელიც ხელს შეუწყობს მიმდინარე რეფორმების დანერგვას, არსებული გამოწვევების შეფასებასა და მიღწევების ანალიზს.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის არსებული ასოცირების ხელშეკრულების[2] თანახმად, ამ უკანასკნელმა უნდა უზრუნველყოს განათლების ხარისხის განვითარება, რაც უნდა შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების მოდერნიზაციის დღის წესრიგსა[3] და ბოლონიის პროცესს[4]. ხელშეკრულება ასევე მოიცავს აკადემიურ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას, ევროკავშირის თანამშრომლობის პროგრამებში მონაწილეობასა და სტუდენტთა მობილობის ზრდას.

2005 წელს საქართველო შეუერთდა ბოლონიის პროცესს, რომელიც მოიცავს ევროპის ქვეყნებს შორის განათლების სისტემების დაახლოებასა და ჰარმონიზაციას და მიზნად ისახავს უმაღლესი განათლების უნიფიცირებული ევროპული სივრცის შექმნას, მოქალაქეების დასაქმებას, მობილობის გაძლიერებასა და ევროპული უმაღლესი განათლების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ზრდას.

ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩო[5] უზრუნველყოფს, რომ კვალიფიკაციები გახდეს ადვილად აღქმადი და გასაგები ევროპულ სივრცეში სხვადასხვა ქვეყნისა და სისტემისათვის, რათა უფრო ნათლად მოხდეს სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული კვალიფიკაციების შედარება. საქართველოში ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო[6] ოფიციალურ დოკუმენტად 2010 წლის ბოლოს იქნა მიღებული და მიზნად ისახავს:

---

1 საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - „საქართველო 2020“

2 ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის; 2014.

3 http://ec.europa.eu/education/library/reports/modernisation_en.pdf

4 ევროპის 29 ქვეყნის უმაღლეს განათლებაზე პასუხისმგებელმა მინისტრმა 1999 წლის 19 ივნისს იტალიის ერთ-ერთ უძველეს საუნივერსიტეტო ქალაქში ხელი მოაწერა ბოლონიის დეკლარაციას, რომელსაც საქართველო შეუერთდა 2005 წელს http://www.mes.gov.ge/content.php?id=1856&lang=geo

5 European Qualifications Framework; https://ec.europa.eu/ploteus/content/descriptors-page

6 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანება „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“.

› სტუდენტებზე ორიენტირებული განათლების სისტემის შექმნას;
› საქართველოში მიღებული განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას;
› სწავლის მსურველთა და დასაქმებულთათვის მობილობის პროცესის ხელშეწყობასა და ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მეშვეობით მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის უზრუნველყოფას.

ბოლონიის პროცესთან და ევროპულ კვალიფიკაციებთან შესაბამისობის მიზნით, ყველა საგანმანათლებლო პროგრამა უნდა ეფუძნებოდეს ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს. აქედან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან აკრედიტაციის არსებული სტანდარტების მოთხოვნას წარმოადგენს და ქვემოთ იქნება განხილული.

აუდიტის მოტივაცია

ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის განათლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა მთავარ საფუძველს წარმოადგენს. საგანმანათლებლო დაწესებულებების უპირველესი მიზანია სტუდენტებისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების გადაცემა, რათა უზრუნველყოს მათი კონკურენტუნარიანობა მუდმივად ცვალებად შრომის ბაზარზე.

სტატისტიკის თანახმად, მოცემულ მომენტში[7] საქართველოში არსებულ უმაღლეს საგანმანათლებო დაწესებულებებში **132,554 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტია,**[8] რომელთაგანაც **57.4% იღებს სახელმწიფო დაფინანსებას,** რამაც საერთო ჯამში **2015 წელს 73.7 მილიონი ლარი შეადგინა.**[9] სახელმწიფო გრანტის მისაღებად სტუდენტები უნდა
ჩაირიცხონ აკრედიტებულ პროგრამაზე, რაც ხელს უწყობს უნივერსიტეტებს შორის კონკურენციას და ქმნის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მოტივაციას.

7 სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეესტრის სამმართველოს მონაცემები, 2015 წლის 1 ნოემბერი.

8 სტუდენტების რაოდენობაში არ შედიან დოქტორანტი სტუდენტები, რადგან სადოქტორო პროგრამებზე სტუდენტების დაფინანსება ხდება სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ, კვლევითი გრანტით, რაც არსობრივად და სტრუქტურულად, ასევე რაოდენობრივად, განსხვავდება სახელმწიფო სასწავლო გრანტისგან.

9 სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეესტრის სამმართველოს მონაცემები, 2015 აკადემიური წლისთვის, 2015 წლის 1 ნოემბრის მონაცემების მიხედვით.

გრაფიკი 1: სტუდენტების რაოდენობა, რომლებმაც მოიპოვეს სახელმწიფო დაფინანსება, წლების მიხედვით



გრაფიკი 2: სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი დაფინანსება სასწავლო გრანტებისთვის, წლების მიხედვით



აღსანიშნავია, რომ სტუდენტების რაოდენობა, რომლებმაც სახელმწიფო გრანტი მოიპოვეს, 2010-2011 აკადემიური წლიდან 2015-2016 წლამდე 53%-ითაა გაზრდილი, ხოლო სახელმწიფოს მიერ ამ მიზნით გამოყოფილი დაფინანსება - 2010 წლიდან 2015 წლამდე - 127%-ით (გრაფიკები: 1 და 2).

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში - ცენტრი) ერთადერთი დამოუკიდებელი ორგანოა, რომელიც პასუხისმგებელია უსდ-ების სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებაზე, საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შენარჩუნების უზრუნველყოფასა და მათ აკრედიტაციაზე. ცენტრის 2013-2014 წლების საქმიანობის ანგარიშის მიხედვით, სააგენტო ამ სფეროში დიდი გამოწვევების წინაშე იდგა, რის გამოც, დაიგეგმა სისტემის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანი რეფორმები.

აღნიშნულ განცხადებას აძლიერებს უმაღლესი განათლების სექტორის ბოლო რამდენიმე კვლევა. განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ცენტრის (EPPM) მიერ, G-PAC პროგრამის[10] ფარგლებში განხორციელებული კვლევის[11] თანახმად, საქართველოში **უმაღლესი განათლების მქონე პირთა მხოლოდ 24%-ია დასაქმებული და მუშაობს საკუთარი პროფესიით.** იქიდან გამომდინარე, რომ დასაქმება უმაღლესი განათლების ერთ-ერთი მთავარი მიზანია, აღნიშნული გარემოება, სხვა გარეფაქტორებთან ერთად, მიუთითებს სისტემის ხარვეზებზე.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში - თსუ) სტუდენტთა კონტინგენტით საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, სადაც დღესდღეობით 22,000-მდე სტუდენტი ირიცხება. ACT[12]-ის მიერ მომზადებული კვლევის[13] თანახმად, თსუ-ს კურსდამთავრებულები აცხადებენ, რომ მათ **აკლიათ პროფესიული და პრაქტიკული ცოდნა განათლების შესაბამის სფეროში და უნივერსიტეტში მიღებული განათლება არ პასუხობს დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს.**

იქედან გამომდინარე, რომ უმაღლესი განათლების სექტორში ეფექტიანობის აუდიტი არ ჩატარებულა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გადაწყვიტა პირველ რიგში შეესწავლა **უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები,** ვინაიდან ცენტრმა არც თუ ისე დიდი ხანია დანერგა აკრედიტაციის პროცედურა, რომელიც 2011 წლიდან უკვე 1,500-ზე მეტი პროგრამის ხარისხს უზრუნველყოფს.

10 კვლევა მომზადდა განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის „საქართველოში საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება“ (G-PAC) ფარგლებში.

11 განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი (EPPM); უმაღლესი განათლების გავლენა სამუშაო ძალის ფორმირებაზე; 2013.

12 ანალიზის და კონსულტირების ჯგუფი, საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და სტრატეგიული კონსალტინგის განმახორციელებელი ორგანიზაცია; http://www.act-gr.com/

13 ACT - ანალიზისა და კონსულტირების ჯგუფი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბრენდის იმიჯისა და გამოცდილების კვლევა; 2012.

აუდიტის პრობლემა და მთავარი კითხვა

უმაღლესი განათლების გარე შეფასების მექანიზმები და ხარისხის გაუმჯობესების საშუალებები დაახლოებით ათი წლის წინ განისაზღვრა, რომლის საფუძველზეც უმაღლესი განათლების სფეროში მრავალმხრივი რეფორმები გატარდა. ამის მიუხედავად, როგორც აუდიტის პროცესში გამოჩნდა, ცენტრის მიერ ადეკვატურად არ ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა.

აუდიტის პრობლემიდან გამომდინარე, ჩამოყალიბდა აუდიტის მთავარი კითხვა:

რამდენად ადეკვატურია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დანერგილი უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების გარე მექანიზმები?

აუდიტის მიზნის მისაღწევად და მთავარ კითხვაზე პასუხის გასაცემად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეიმუშავა შესაბამისი აუდიტის პროცედურები უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების პროცესის შესაფასებლად, არსებული პრობლემების გამომწვევი მიზეზების დასადგენად და მათი გადაჭრის გზების განსაზღვრის მიზნით.

აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩამოაყალიბა აუდიტის შემდეგი კითხვები:

› არის თუ არა ცენტრის მიერ შემუშავებული აკრედიტაციის **სტანდარტები გაზომვადი და მიზნისთვის შესაფერისი?**
› უზრუნველყოფს თუ არა ცენტრი **ექსპერტთა კორპუსის სათანადო გამოყენებას,** მათ შეფასებასა და შემდგომ რეაგირებას?
› არის თუ არა **გადაწყვეტილების მიღების პროცედურები** ერთგვაროვანი ყველა პროგრამისთვის და არსებობს თუ არა აკრედიტაციის პროცესის **შემდგომი რეაგირების** ეფექტიანი მექანიზმი?

აუდიტის კრიტერიუმები

ანგარიშში წარმოდგენილი ანალიზი ეფუძნება შემდეგ მთავარ კრიტერიუმებს:

› საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“[14];
› საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“[15];
› ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო;
› ცენტრის დებულება[16];

14 21.07.2010.
15 05.08.2010.
16 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“.

› აკრედიტაციის დებულება[17];
› ცენტრის 2013-2017 წლების სტრატეგიული გეგმა[18].

აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისობის ანალიზისას, სახელწიფო აუდიტის სამსახურმა გამოიყენა შემდეგი კრიტერიუმები:

› ევროპული უმაღლესი განათლების სივრცეში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ევროპული ასოციაციის (ENQA) მიერ შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში (ESG);
› აკრედიტაციის სტანდარტები[19];
› განათლების ხარისხის განვითარების სახელმძღვანელო[20].

ცენტრის მიერ ექსპერტთა კორპუსის სათანადო მართვის უზრუნველყოფა და ექსპერტების მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებისას, გამოყენებული იყო ექსპერტთა ეთიკის კოდექსი და ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები, ხოლო საუკეთესო პრაქტიკის სახით, გამოყენებულ იქნა ესტონეთისა და სლოვენიის გამოცდილება და არსებული რეგულაციები. დასახელებული ქვეყნების შერჩევა მოხდა იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ორივე მათგანმა გაიარა უმაღლესი განათლების სფეროში მსგავსი ტრანსფორმაცია და უკანასკნელ პერიოდში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ევროპული ასოციაციის წევრი გახდა.

ანგარიშის ბოლო თავთან მიმართებაში, რომელიც ეხება აკრედიტაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცედურასა და მასზე შემდგომ რეაგირებას, გამოყენებულ იქნა აკრედიტაციის დებულება და სხვა ზემოხსენებული მთავარი კრიტერიუმები.

ცენტრის პრაქტიკის აღნიშნულ კრიტერიუმებთან შესაბამისობის საკითხი განხილულ იქნა აუდიტის ობიექტთან.

17 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“.

18 სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიული გეგმა 2013-2017

19 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“, მუხლები: 3-7.

20 სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო; 2011

აუდიტის მასშტაბი და მეთოდოლოგია

აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა **გამოიკვლია 2011 წლიდან 2015 წლის პირველი ნახევრის ჩათვლით** პერიოდში ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობა. ანალიტიკური მიზნებისთვის ასევე გამოყენებულ იქნა წინა წლებისა და აუდიტის დასრულების დროისთვის ხელთ არსებული ინფორმაცია.

აუდიტის პროცესში სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გამოიყენა ანალიზის სხვადასხვა ტიპები. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა რიგი ინტერვიუები ცენტრის წარმომადგენლებთან და განათლების ექსპერტებთან.

არსებული 1,567 აკრედიტებული პროგრამიდან განხორციელდა 64 პროგრამის სტრატიფიცირებული შერჩევა (2011-2015 წლები)[21], უმაღლესი განათლების საფეხურების (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო), სწავლების ენისა (ქართული, ინგლისური, რუსული და ა.შ.) და განათლების მიმართულებების მიხედვით:

› ინჟინერია;
› საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
› ბიზნესის ადმინისტრირება;
› სამართალი;
› აგრარული მეცნიერებები;
› სოციალური მეცნიერებები.

წარმომადგენლობითი შერჩევის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მოიცვა 5 სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელთაგან 3 თბილისში მდებარე ყველაზე დიდი კონტინგენტის მქონე უნივერსიტეტებია, დანარჩენი 2 კი მდებარეობს ქვეყნის ორ სხვადასხვა მხარეში (აღმოსავლეთსა და დასავლეთში). 5 უნივერსიტეტი შეირჩა კერძო სექტორიდან, აკადემიური მიმართულებების მიხედვით.

მესამე თავთან მიმართებაში, აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისობის შესაფასებლად გამოკვლეულ იქნა შერჩეული 64 აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშები. ასევე, შერჩეულ 10 უსდ-ში ჩატარდა ხარისხის განვითარებაზე პასუხისმგებელი პირების ინტერვიუები და წერილობითი გამოკითხვა.

მეოთხე თავთან მიმართებაში, გამოკვლეულ იქნა 64 შერჩეული პროგრამის ექსპერტთა დასკვნებისა და აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმები. არსებული 226 ექსპერტიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გამოჰკითხა 22. ასევე, განხორციელდა აკრედიტაციის ვიზიტებისა და ექსპერტთა ბაზის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ანალიზი.

მეხუთე თავთან მიმართებაში, აკრედიტაციის საბჭოს საქმიანობის ვადების ეფექტიანობის შესაფასებლად, ზემოხსენებული 64 პროგრამიდან შეირჩა 20. შერჩევა განხორციელდა

21 შერჩეული პროგრამები იხილეთ №1 დანართში

წლების და უსდ-ების ტიპების (სახელწიფო/კერძო) მიხედვით. გარდა ამისა, განხორციელდა პროგრამის აკრედიტაციის მონიტორინგის ყველა შემთხვევის ხარისხობრივი ანალიზი. ასევე, შესწავლილ იქნა აკრედიტაციის საბჭოს სხდომების ოქმები წლების მიხედვით.

ანალიზის პროცესში, გამოკვლეულ იქნა ცენტრის დოკუმენტაცია (კორესპონდენციები)[22], ბრძანებები აკრედიტაციის ვიზიტების შესახებ და საბჭოს გადაწყვეტილებები.

22 *აკრედიტაციის აპლიკაციები, გადახდის ქვითრები, წერილები და ა.შ.*

2. აუდიტის შესწავლის საგნის მიმოხილვა

2.1 უმაღლესი განათლების სისტემა საქართველოში

საქართველოში არსებული განათლების სისტემა აერთიანებს განათლების სამ საფეხურს:

› ზოგადი განათლება;
› პროფესიული განათლება;
› უმაღლესი განათლება.

უმაღლესი განათლების სისტემა რეგულირდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით. აღნიშნული კანონი აწესრიგებს საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (შემდგომში - უსდ) საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესს, უმაღლესი განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესს, ადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნების, საქმიანობის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესს, ასევე ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პრინციპებს.

საქართველოში არსებობს სამი ტიპის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება: უნივერსიტეტი, სასწავლო უნივერსიტეტი და კოლეჯი. აღნიშნული დაწესებულებები ხარისხის უზრუნველყოფის (ავტორიზაციისა და აკრედიტაციის) კუთხით ანგარიშვალდებული არიან ცენტრთან, ხოლო ცენტრი - განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

სქემა 2.1.1: ანგარიშვალდებულების სისტემა



საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, უზრუნველყოს განათლების მაღალი ხარისხი დაინტერესებული პირებისთვის და აღჭურვოს ისინი კონკურენტუნარიანი ცოდნითა და უნარებით, რომელიც აკმაყოფილებს ადგილობრივი და საერთაშორისო დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, საგანმანათლებლო დაწესებულებები სტუდენტებს სთავაზობენ უმაღლესი განათლების სხვადასხვა პროგრამებს. პროგრამებს ძირითადად ადგენს დაწესებულებების აკადემიური პერსონალი. პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის შემდეგ, დაწესებულებები აკრედიტაციისთვის მიმართავენ ცენტრს. აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაში, განისაზღვრება კურსზე ჩასარიცხ სტუდენტთა რაოდენობა უსდ-ის მიერ.

2015 წლის ოქტომბრისთვის აკრედიტაცია მინიჭებული ჰქონდა 73 უსდ-ის 1,567 პროგრამას. აღნიშნულ პროგრამებზე ირიცხება აქტიური სტატუსის მქონე 136,092 სტუდენტი[23].

დიაგრამა 2.1.2: აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა წლების მიხედვით



23 აკრედიტებული პროგრამების რიცხვი მოცემულია 2015 წლის ოქტომბრის, ხოლო ჩარიცხულ სტუდენტთა რიცხვი - 2015 წლის 1 ნოემბრის მონაცემებით. ასევე აღსანიშნავია, რომ ამ მონაცემებში გათვალისწინებულია სადოქტორო პროგრამებისა და დოქტორანტი სტუდენტების რაოდენობა.

2.2 განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

2010 წლის 1 სექტემბერს შეიქმნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

ცენტრის მიზნებია:

- › საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობით განათლების ხარისხის შიდა მექანიზმების ფორმირების ხელშეწყობა, გარე მექანიზმების განხორციელება და მათ შემდგომ სრულყოფაზე ზრუნვა;
- › მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და აკადემიური პერსონალის თავისუფალი გადაადგილების ხელშეწყობა სწავლის, სწავლების, კვლევისა და დასაქმების მიზნით, როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ;
- › საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა;
- › საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათ მიმართ ნდობის ამაღლება.

დებულების თანახმად, ცენტრი:

- › ახორციელებს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციასა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას, მონიტორინგის განხორციელების გზით კონტროლს უწევს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების დაცვას;
- › ახორციელებს ავტორიზაციის, აკრედიტაციისა და პროფესიული სტანდარტების შემუშავებასა და მუდმივ სრულყოფას;
- › საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების ხარისხის განვითარების მიზნით, შეიმუშავებს რეკომენდაციებს, გასწევს კონსულტაციებს, მართავს ტრენინგებს, სემინარებს, კონფერენციებს.

ცენტრს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.

სქემა 2.2.1: სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრუქტურა[24]



24 სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზაციული სტრუქტურა. http://eqe.ge/geo/static/57/about-us/structure

ცენტრი თავისი უფლებამოსილებების განხორციელებას უზრუნველყოფს ზემოთ მოყვანილი სქემის მიხედვით, აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების - სამსახურების, სამმართველოებისა და განყოფილებების მეშვეობით. **ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური** ზრუნავს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ფორმირების ხელშეწყობაზე, გარე მექანიზმების განხორციელებასა და მათ შემდგომ სრულყოფაზე. **კვალიფიკაციების მართვის და არაფორმალური განათლების სამმართველოს** მიზანია, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით სანდო და ვალიდური კვალიფიკაციების ჩარჩოს ჩამოყალიბება, მისი თავსებადობის უზრუნველყოფა ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და მისი მუდმივი განახლება, ხოლო **ბოლონიის პროცესის ხელშეწყობისა და ევროინტეგრაციის სამმართველოს** ფუნქციაა საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობა, შესაბამისი კვლევის განხორციელება და რეკომენდაციების მომზადება უსდ-ებისთვის.

2012 წლის ბოლოს ცენტრმა შეიმუშავა ახალი სტრატეგიული გეგმა, რომელიც ხანგრძლივი და თანამონაწილეობითი პროცესის შედეგად ჩამოყალიბდა. ცენტრის 2013-2017 წლების სტრატეგიული გეგმის მიხედვით, **პრიორიტეტული მიმართულებებია:**

› ცენტრის მომსახურების გაუმჯობესება;
› საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სისტემის განვითარების ხელშეწყობა;
› განათლების ხარისხის ხელშეწყობა;
› ცენტრის ორგანიზაციული განვითარება.

აღნიშნული სტრატეგიული გეგმის მიხედვით, **ცენტრის მთავარი ამოცანებია:**

› საგანმანათლებლო დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის გაუმჯობესებული სტანდარტების ამოქმედება;
› აკრედიტაციის საბჭოების დარგობრივი მიმართულებით დაყოფა;
› საგანმანათლებლო პროგრამების პირობითი აკრედიტაციის ინსტიტუტის შემოღება;
› აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის განვითარების ხელშეწყობა;
› აკრედიტაციის პროცესის მონიტორინგის დახვეწა.

საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამების **აკრედიტაციის პროცესის დანერგვა 2010 წელს დაიწყო.** აღნიშნული პროცესი მიმდინარეობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და გერმანიის ფედერალური განათლებისა და კვლევის სამინისტროს ერთობლივი პროექტის - Twinning- ის ფარგლებში, სადაც აგრეთვე მონაწილეობდა საფრანგეთის პედაგოგიური სწავლების საერთაშორისო ცენტრის წარმომადგენელი. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებისა და მათი დანერგვის პროცესის ევროპულ სტანდარტებთან და პრაქტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, Twinning-ის პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფში ჩართული იყვნენ როგორც ცენტრის თანამშრომლები, ასევე სხვა დაინტერესებული პირები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლების სახით. აღნიშნული ჯგუფის

მიერ შემუშავებული პირველადი აკრედიტაციის სტანდარტები სამუშაო რეჟიმში განხილული იქნა უსდ-ების წარმომადგენლებთან. პროექტის ფარგლებში, აგრეთვე, უცხოელ ექსპერტებთან ერთად შემუშავდა განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო, სადაც განხილულია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები, მათი აღწერა და დასაბუთების შესაძლო წყაროები. სახელმძღვანელოს მიზანია,

ნათლად და გასაგებად განისაზღვროს უსდ-ებისთვის აკრედიტაციის სტანდარტებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა. აღსანიშნავია, რომ ENQA-ს სტანდარტის მიხედვით, აკრედიტაციის სტანდარტებთან ერთად, უსდ-ებისთვის წინასწარ განსაზღვრული და გაერთიანებული სახით გამოქვეყნებული უნდა იყოს მკაფიო შეფასების კრიტერიუმები და შესრულების ინდიკატორები.

ზემოთ აღნიშნული ხანგრძლივი სამუშაო პროცესის შედეგად, 2011 წლის 4 მაისის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №65/ნ ბრძანებით დამტკიცდა საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამული აკრედიტაციის დებულება, რომელშიც განსაზღვრულია აკრედიტაციის სტანდარტები.

ცენტრი, სამინისტროსთან და სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან (EMIS) ერთად, მონაწილეობს UNDP-ის[25] ქვეპროგრამაში განათლების ხარისხისა და ელექტრონული მართვის პროექტი. პროექტი მიზნად ისახავს ხარისხის მართვის სისტემის - ელექტრონული პლატფორმის შექმნას, რომელიც მოახდენს ცენტრის ოპერაციების ავტომატიზაციას, რის შედეგადაც ცენტრის მიერ შეთავაზებული სერვისები გახდება უფრო ზუსტი და დროული.

2.3 აკრედიტაციის პროცესი

საქართველოში ინსტიტუციური აკრედიტაციის პროცესი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2004 წელს დაიწყო. ამ პროცესის განხორციელების მიზნით, 2006 წელს დაფუძნდა სსიპ საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმწიფო აკრედიტაციის სამსახური, რომელიც ახორციელებდა ინსტიტუციურ და პროგრამულ აკრედიტაციას უმაღლეს, პროფესიულ და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. 2007 წელს სააგენტოს სახელწოდება განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრით შეიცვალა.

2010 წელს „უმაღლესი განათლების შესახებ“ და „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, სსიპ - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის უფლებამონაცვლედ დაარსდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. ამავდროულად, სავალდებულო ლიცენზირებისა და ინსტიტუციური აკრედიტაციის ნაცვლად დაინერგა ავტორიზაციის პროცედურა, რასაც მოჰყვა ცვლილებები აკრედიტაციის შინაარსშიც. ავტორიზაცია წარმოადგენს შეფასების გარე მექანიზმს, რომელიც გასაზღვრავს საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას ცენტრის მიერ დადგენილ ავტორიზაციის სტანდარტებთან. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცია სავალდებულო პროცესია, რომელიც სავალდებულოა ყველა ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად და სახელმწიფოს მიერ აღიარებული საგანმანათლებლო დოკუმენტის გასაცემად.[26]

25 გაეროს განვითარების პროგრამა.
26 26 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბის №99/ნ ბრძანება „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“

აღნიშნული რეფორმების შედეგად, ასევე დაინერგა უსდ-ების საგანმანათლებლო პროგრამების **აკრედიტაციის პროცედურა.** აკრედიტაციის მიზანია განისაზღვროს **საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა აკრედიტაციის არსებულ სტანდარტებთან** (იხ. ქვეთავი 2.2 - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი). აკრედიტაცია ნებაყოფლობითი პროცედურაა (არ იგულისხმება სადოქტორო პროგრამები და რეგულირებადი მიმართულებების პროგრამები - სამართალი, მედიცინა, მასწავლებლების საგანმანათლებლო პროგრამა, რომლებისთვისაც აკრედიტაცია სავალდებულოა), თუმცა, მაღალი სტანდარტის შენარჩუნების მიზნით და იმისათვის, რომ სტუდენტებმა შეძლონ სახელმწიფო გრანტის გამოყენება, უსდ-ები მზად არიან, განახორციელონ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია.

დღესდღეობით, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია და შემდგომი რეაგირება ხარისხის უზრუნველყოფის ყველაზე მნიშვნელოვანი გარე მექანიზმია. ამის გამო, უაღრესად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ აკრედიტაციის პროცესის თითოეული საფეხური, არამედ აკრედიტაციის სათანადო სტანდარტების არსებობა და აკრედიტაციის შემდგომი მუდმივი მონიტორინგი. ქვემოთ მოყვანილია ცენტრის მიერ ამჟამად დანერგილი აკრედიტაციის პროცესის ძირითადი საფეხურები.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის დებულების მიხედვით, უსდ-ის მიერ აკრედიტაციის საფასურის გადახდიდან 90 დღის ვადაში ცენტრმა უნდა განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ყველა პროცედურა.

სქემა 2.2.2: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის პროცესი, აკრედიტაციის დებულების თანახმად



2.3.1 სააკრედიტაციო დოკუმენტაცია

როგორც სქემიდან ჩანს, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მისაღებად, პირველ ეტაპზე, უსდ-მ ცენტრს უნდა წარუდგინოს სააკრედიტაციო დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, პროგრამის კურიკულუმს და აკრედიტაციის განაცხადს (2015 წლის 17 სექტემბრის ცენტრის დირექტორის №760 ბრძანებით შეიცვალა აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის ფორმა. ანგარიშის სტრუქტურას დაემატა ელექტრონული ფორმით თანდართული დოკუმენტაციის ჩამონათვალი). უსდ-ს მოეთხოვება, აღწეროს რამდენად შეესაბამება პროგრამა მარეგულირებელ სტანდარტებს და წარმოადგინოს დამადასტურებელი მტკიცებულებები. ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ აკრედიტაციის ინსტრუმენტად თვითშეფასების ფორმის გამოყენება ევროპაში გავრცელებული პრაქტიკაა, რომელიც თითქმის ყველა ქვეყანას აქვს დანერგილი. ხსენებული პრაქტიკის დადებითი მხარე მდგომარეობს იმაში, რომ უნივერსიტეტები წარმოადგენენ ყველა სახის საჭირო ინფორმაციას პროგრამის შესახებ, რაც ამარტივებს ექსპერტის მიერ ჩასატარებელ სამუშაოს ინფორმაციის მოძიებასთან დაკავშირებით. თვითშეფასების ანგარიში უნდა იყოს შინაარსზე ორიენტირებული და უნდა მოიცავდეს ხარისხობრივ მონაცემებს. ცენტრის მიერ შემუშავებული თვითშეფასების ანგარიში მოიცავს თითოეული აკრედიტაციის სტანდარტის შესახებ არსებული მდგომარეობის შეფასებას განმახორციელებელი დაწესებულების მხრიდან. მოგვიანებით ანგარიშის სტრუქტურას დაემატა SWOT ანალიზის[27] გრაფა.

სააკრედიტაციო განაცხადის განხილვის საფასურის გადახდის მიღების შემდგომ, ცენტრი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და აკრედიტაციის მაძიებელ დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ, რომელიც განსაზღვრავს ვიზიტის ხანგრძლივობასა და ჯგუფის წევრთა რაოდენობას.[28]

27 პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობების და მოსალოდნელი რისკების შეფასება უსდ-ს მხრიდან.

28 აკრედიტაციის დებულება.

2.3.2 აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსი

ცენტრის განკარგულებაშია აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსი. ექსპერტებთან დაკავშირება და ექსპერტთა ჯგუფში შეყვანა ხდება საჭიროების მიხედვით. პერიოდულად, ცენტრი აცხადებს კონკურსს ახალი ექსპერტების მოსაძიებლად, როდესაც კონკრეტული პროგრამის შესაფასებლად საჭიროა შესაბამისი პროფესიის წარმომადგენელი, ან/და ექსპერტთა კორპუსის შევსებისა და გადახალისების მიზნით.

ექსპერტების მოძიება უნდა ხდებოდეს წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით. აუდიტის პერიოდში, ცენტრს განსაზღვრული ჰქონდა შემდეგი კრიტერიუმები: დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში, სამუშაო გამოცდილება, ანალიტიკური აზროვნება, კომუნიკაციისა და სტრესულ გარემოში მუშაობის უნარი. ამას გარდა, არასავალდებულო მოთხოვნის სახით, ცენტრი უპირატესობას ანიჭებდა იმ კანდიდატებს, რომლებსაც მონაწილეობა ჰქონდათ მიღებული განათლების მარეგულირებელი დოკუმენტების შემუშავებაში, ტრენინგებსა და საერთაშორისო პროექტებში.[29] 2013 წლამდე, ცენტრი ექსპერტთა კანდიდატების შერჩევის პროცესის დაწყების წინ გამოსცემდა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლითაც განსაზღვრავდა შერჩევის კრიტერიუმებს. 2013 წელს ცენტრმა დაადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის ზემოხსენებული კრიტერიუმები.

ცენტრმა შეცვალა არსებული რეგულაციები, რათა დაექირავებინა საჭირო სფეროს ექსპერტები (იმ შემთხვევებში, როდესაც არსებულ ბაზაში შეუძლებელი იყო სათანადო ექსპერტის მოძიება) ხანგრძლივი შერჩევის პროცედურის გარეშე. ცვლილების[30] თანახმად, აუდიტის პერიოდში ცენტრის დირექტორს შეეძლო დაექირავებინა ნებისმიერი კანდიდატი, რომელსაც წარადგენდა საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია[31]ან HR პროფესიონალთა გილდია[32] - კერძო ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალებს.[33]

უსდ-ში ვიზიტზე მივლენილი ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა დამოკიდებულია განსახილველი პროგრამების რაოდენობასა და შინაარსზე. ცენტრის აკრედიტაციის პროცედურის თანახმად, ჯგუფის შემადგენლობაში, ექსპერტებთან ერთად, შესაძლოა შეყვანილ იქნეს სტუდენტი, ცენტრის თანამშრომელი და პროფესიული ასოციაციის წარმომადგენელი (რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში - სამართალი, მედიცინა, მასწავლებლების საგანმანათლებლო პროგრამები). აღსანიშნავია, რომ 2015 წლიდან, ექსპერ-

29 სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2013 წლის 16 სექტემბრის №293 ბრძანება „აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“, დანართის მუხლი: 1, პუნქტი: 1; ცენტრის მიერ გამოქვეყნებული კონკურსის პირობები.

30 სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2013 წლის 5 ნოემბრის №377 ბრძანება „აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2013 წლის 16 სექტემბრის №293 ბრძანებაში დამატების შეტანის თაობაზე“, პუნქტი 1, ქვეპუნქტი: 1.

31 http://www.employer.ge/

32 http://www.hrpg.ge/

33 აღნიშნული რეგულაცია გაუქმდა 2015 წლის 11 მარტიდან (სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 11 მარტის №184 „აკრედიტაციის ექსპერტთა წესის დამტკიცების შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2013 წლის 16 სექტემბრის №293 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე), ხოლო 2015 წლის 1 სექტემბრიდან დამტკიცდა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესი.

ტთა ჯგუფების შედგენა ხორციელდება შესაფასებელი საგანმანათლებლო პროგრამების კონკრეტული მიმართულებების მიხედვით.[34]

საერთაშორისოდ მიღებული პრაქტიკის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფის შედგენიდან აკრედიტაციის ვიზიტამდე პერიოდი მინიმუმ 2 თვეს შეადგენს.[35] ცენტრი სააკრედიტაციო დოკუმენტებს[36] ექსპერტებს ვიზიტამდე საშუალოდ 5 დღით ადრე აწვდის. ჯგუფის წევრებმა უნდა გამოიყენონ აღნიშნული პერიოდი მიწოდებული ინფორმაციის შესასწავლად და მონაწილეობა მიიღონ ვიზიტის დასაგეგმ შეხვედრაში. ვიზიტის განმავლობაში ექსპერტებმა უნდა შეისწავლონ და დაადასტურონ უსდ-ების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და მტკიცებულებების სტანდარტებთან შესაბამისობა. ეს პროცესი, ჩვეულებრივ, მოიცავს ინტერვიუებს, უსდ-ების წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებული პირების გამოკითხვას და ანალიზის სხვა მეთოდებს. როგორც აღინიშნა, ვიზიტის ხანგრძლივობა სხვადასხვა ფაქტორებზეა დამოკიდებული და საშუალოდ 3 დღის განმავლობაში გრძელდება. ექსპერტთა ჯგუფის შედგენისა და უსდ-ში ვიზიტის შესახებ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების თანახმად, ექსპერტებს ეძლევათ აკრედიტაციის ვიზიტიდან 3 დღე საგანმანათლებლო პროგრამის თაობაზე დასკვნის წარმოსადგენად.

განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოები, მათ მიერ ჩატარებული სამუშაოს ხარისხის მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, რეგულარულად ატარებენ ექსპერტების შეფასებას. მაგალითად, სლოვენიაში, სააგენტოს შემუშავებული აქვს ურთიერთშეფასების კითხვარი, რომლის საშუალებითაც ექსპერტები გამოთქვამენ მოსაზრებას კოლეგების მიერ ჩატარებული სამუშაოს შესახებ და აფასებენ მათ პროფესიონალიზმს, ჯგუფში მუშაობის უნარს, შეფასების მეთოდოლოგიის ცოდნას, კრიტიკულ აზროვნებას და ა.შ.. შევსებულ კითხვარების ანალიზის საფუძველზე განისაზღვრება ძირითადი მიმართულებები, თუ რომელი კუთხით არის მიზანშეწონილი ექსპერტთა კვალიფიკაციის ამაღლება.

საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტომ ორგანიზება უნდა გაუწიოს ექსპერტების ტრენინგს - კურსი უნდა მოიცავდეს როგორც ცვლილებებს საგანმანათლებლო სისტემის საკანონმდებლო ბაზასა და ცენტრის მიერ შემუშავებულ ხარისხის უზრუნველყოფის კრიტერიუმებში, ასევე ჯგუფური მუშაობის, ინტერვიუების ჩატარების, ინფორმაციის ანალიზისა და დასკვნის მომზადების უნარების განვითარებას.[37] გარდა ამისა, შესაძლებელია პრიორიტეტული დარგის შემფასებელი ექსპერტებისთვის პერიოდულად, დარგის სიახლეების გაცნობის მიზნით, ტრენინგების ჩატარება.

ევროპულ ქვეყნებში მიღებული პრაქტიკაა საერთაშორისო ექსპერტების გამოყენება. მიუხედავად ამ პროცესთან დაკავშირებული ხარჯებისა, აღნიშნულ პრაქტიკას მნიშვნელოვანი დადებითი მხარეები აქვს: განსხვავებული პერსპექტივა ექსპერტთა ჯგუფში, ჯგუფის

34 როდესაც შესაფასებელია ერთი უსდ-ის რამდენიმე მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამა, ერთი ბრძანებით ხდება კონკრეტული ექსპერტების გამოყოფა კონკრეტული პროგრამების შესაფასებლად...

35 EKKA Quality Assessment Council; Conditions and Procedure for Institutional Accreditation; 2011; გვ. 9

36 უსდ-ს მიერ შევსებული თვითშეფასების ფორმა, საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი, სხვა თანდართული დოკუმენტაცია.

37 The Council of the Slovenian Quality Assurance Agency for Higher Education; Criteria for Entry in the Register of Experts; 2010; EKKA Quality Assessment Council; Conditions and Procedure for Institutional Accreditation; 2011.

ადგილობრივ და შესაბამის სფეროში კორპუსის სხვა წევრებთან ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა და შესაბამისად, ექსპერტების მიერ გაწეული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესება.

2015 წლიდან მიმდინარეობს მუშაობა საერთაშორისო ექსპერტთა ბაზის შექმნის მიმართულებით. ცენტრმა მიმართა ევროპის 19 ქვეყნის განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს, რათა მოხდეს საერთაშორისო ექსპერტების ბაზების მოწოდება.

2015 წლის 1-ელ სექტემბერს, ცენტრმა დაამტკიცა წესი,[38] რომელიც განსაზღვრავს ექსპერტობის კანდიდატთა კვალიფიკაციის კრიტერიუმებს, მოთხოვნებს, საქმიანობასა და ვადებს, პროფესიულ განვითარებასა და ექსპერტების მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, ასევე ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წინაპირობებს. გარდა ამისა, შემუშავდა ექსპერტთა ეთიკის ახალი კოდექსი.[39]

38 სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 1 სექტემბრის №718 ბრძანება „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“, პუნქტი: 1

39 სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 1 სექტემბრის №717 ბრძანება „ავტორიზაციის და აკრედიტაციის ექსპერტთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“.

2.3.3 აკრედიტაციის საბჭო

აკრედიტაციის პროცესის შემდგომ საფეხურზე, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის მინიჭების, აკრედიტაციაზე უარის თქმის ან მისი გაუქმების თაობაზე. საბჭო შედგება 9 წევრისგან, რომელთაც ერთი წლის ვადით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წარდგინებით ნიშნავს საქართველოს პრემიერმინისტრი.

გადაწყვეტილება ეფუძნება სააკრედიტაციო დოკუმენტებს, ექსპერტთა დასკვნასა და საბჭოს სხდომას, რომელიც, ჩვეულებრივ, საჯაროა. შედეგად, უსდ-ების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფის წევრებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სხდომაში. ცენტრში არსებული პრაქტიკის თანახმად, მხარეებს 7 დღით ადრე ეცნობებათ სხდომის გამართვის თაობაზე.

სხდომა უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების ხმათა 3/4- ის უმრავლესობით. საბჭო ვალდებულია სათანადოდ დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება.

აღსანიშნავია, რომ ცენტრის დირექტორის ბრძანებით,[40] 2015 წლის 1 სექტემბერს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესის დახვეწისა და მასში ჩართულ პირთა საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, დაიწყო მუშაობა უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების შექმნის მიმართულებით. საბჭოების საქმიანობის ერთ-ერთი ამოცანაა, ხელი შეუწყოს საგანმანათლებო პროგრამების შეფასების
გამჭვირვალობას, ერთგვაროვანი კრიტერიუმებისა და მოთხოვნების ჩამოყალიბებით.

40 სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 1 სექტემბრის №716 ბრძანება „უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“.

2.3.4 შემდგომი რეაგირების სისტემა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების[41] თანახმად, ცენტრმა უნდა განახორციელოს აკრედიტებული პროგრამების ყოველწლიური მონიტორინგი. ამ მიზნით, უსდ-ები ყოველწლიურად წარუდგენენ ცენტრს საგანმანათლებლო პროგრამის ყოველწლიურ თვითშეფასების ანგარიშს ყოველი აკრედიტებული პროგრამისთვის. აღნიშნული ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის სტრუქტურის შესაბამისად, უსდ-მ უნდა წარმოადგინოს მხოლოდ საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ ცვლილებებისა და პროგრამების განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გატარებული ღონისძიებების აღწერა, მიზნები და შედეგები.[42] ფორმების განხილვა და დადასტურება ხდება ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

გარდა ამისა, უსდ-ში ვიზიტისთვის საბჭოს შუამდგომლობით ან ცენტრის ინიციატივით შესაძლებელია შეიქმნას ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც შეაფასებს საბჭოს მიერ მიღებული რეკომენდაციების[43] შესრულებას. კონკრეტული მიზნიდან გამომდინარე, მონიტორინგის ვიზიტი შესაძლებელია, დაფუძნებული იყოს დაინტერესებული პირებისგან მიღებულ საჩივარზე.

41 *სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულება, მუხლები: 29, 30, 31.*

42 *გარდა ამისა, ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესახებ, რასაც ცენტრი მის ხელთ არსებული ინფორმაციის განახლების მიზნით იყენებს.*

43 *იგულისხმება ექსპერტთა დასკვნაში მოყვანილი რეკომენდაციები უსდ-ებისთვის და/ან აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციები.*

აუდიტის მიგნებები

3. აკრედიტაციის სტანდარტები და თვითშეფასების ანგარიშები

როგორც ზემოთ აღინიშნა, არსებული აკრედიტაციის სტანდარტები ცენტრის ინიციატივით 2010 წელს შემუშავდა. აკრედიტაციის პროცესში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯია აკრედიტაციის სტანდარტების განსაზღვრა, რომელთა საფუძველზეც უსდ-ები შეიმუშავებენ საგანმანათლებლო პროგრამებს. ცენტრი აფასებს უსდ-ების მიერ შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამების არსებულ სტანდარტებთან შესაბამისობას.

ევროპული უმაღლესი განათლების სივრცეში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ევროპული ასოციაციის, ENQA-ს მიერ შექმნილი დოკუმენტის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში (ESG) მიხედვით, თანასწორობისა და სანდოობის მისაღწევად, ხარისხის გარე შეფასების ნებისმიერი შედეგი უნდა ეფუძნებოდეს წინასწარ განსაზღვრულ და გამოქვეყნებულ კრიტერიუმებს, რომელთა ინტერპრეტაციაც ხდება ერთგვაროვნად და ეყრდნობა მტკიცებულებებს.[44]

საქართველოში არსებული აკრედიტაციის თითოეული სტანდარტის დასაკმაყოფილებლად, უსდ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტით გაწერილ მოთხოვნებს. ამ მიზნით, საჭიროა, წინასწარ იქნეს დადგენილი, რა კრიტერიუმით შეიძლება მოხდეს თითოეული მოთხოვნის დაკმაყოფილება და **რა შესრულების ინდიკატორები არსებობს ამის დასადასტურებლად.**[45]

საგანმანათლებლო სტანდარტები - ეს არის **მოთხოვნები და გარემოებები,** განათლების სხვადასხვა საფეხურთან და მათ შორის ურთიერთკავშირთან, ასევე რესურსებთან, პროცესებთან და შედეგებთან მიმართებაში.

შეფასების კრიტერიუმები არის **ნიშნულები ან ორიენტირები,** რომლებიც განსაზღვრავენ მიღწეულ იქნა თუ არა სტანდარტი. კრიტერიუმი, დეტალურობის გარკვეული ხარისხით, აღწერს მოთხოვნების მახასიათებლებსა და წინაპირობებს, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს იმისთვის, რომ სტანდარტი შესრულებულად ჩაითვალოს. შესაბამისად, კრიტერიუმი წარმოადგენს რაოდენობრივ და ხარისხობრივ საფუძველს, რომელსაც ეყრდნობა შეფასებითი დასკვნა.

შესრულების ინდიკატორები - ეს არის **ემპირიულად გაზომვადი** გარემოებები და მონაცემები, რომლებიც იძლევიან სტანდარტებთან შესაბამისობის დონის შეფასების შესაძლებლობას. ინდიკატორი, როგორც სტატისტიკური პარამეტრების ერთობლიობა, ასახავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან მისი პროგრამის შესრულებას გარკვეული ხარისხობრივი მიმართულებით. ინდიკატორები შესაძლებელს ხდიან შესრულების ტრენდების გამოაშკარავებასა და დასახულ მიზნებთან რეალური შესრულების შედარებას. მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს ინდიკატორების გამიჯვნა სტანდარტებისაგან.[46]

---

44 ESG 2.5 (ENQA): შედეგების შესაფასებელი კრიტერიუმები - განათლების ხარისხის გარე უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული ნებისმიერი შეფასება და მსჯელობა ცალსახად უნდა ეყრდნობოდეს მკაფიო და წინასწარ გამოქვეყნებულ კრიტერიუმებს, მიუხედავად იმისა, ეს მსჯელობა/პროცესი ფორმალური გადაწყვეტილების მიღების შემადგენელი ნაწილია თუ არა.

45 მაგალითი იხილეთ №2 დანართში

46 ხარისხის უზრუნველყოფა და აკრედიტაცია: საბაზისო ტერმინები და დეფინიციების ლექსიკონი, UNESCO-CEPES, 2007

3.1 შეფასების კრიტერიუმები და შესრულების ინდიკატორები მკაფიოდ განსაზღვრული და წინასწარ გამოქვეყნებული არ არის

როგორც ძირითადი შესწავლის ეტაპზე ჩატარებულმა ანალიზმა გამოავლინა, მიუხედავად იმისა, რომ ცენტრს შემუშავებული აქვს განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო, რომელშიც მოცემულია აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების ვრცელი განმარტება, უსდ-ებისთვის სტანდარტების მოთხოვნების აღქმის გამარტივების მიზნით, **არ არსებობს წინასწარ განსაზღვრული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული და ერთობლივი ფორმით გამოქვეყნებული შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ინდიკატორები აკრედიტაციის არსებული სტანდარტების თითოეულ მოთხოვნასთან მიმართებაში.**

აღნიშნულიდან გამომდინარე, გადაწყვეტილების მიღებისას, ექსპერტთა ჯგუფსა და აკრედიტაციის საბჭოს წევრებს არ აქვთ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესაფასებელი კრიტერიუმები და შესრულების ინდიკატორები მსჯელობის დასასაბუთებლად. ეს ფაქტორი ნეგატიურად აისახება აკრედიტაციის პროცესზე, რადგან განხილულმა ნაკლოვანებებმა შესაძლებელია გამოიწვიოს საგანმანათლებლო პროგრამების სუბიექტური და არაერთგვაროვანი შეფასება.

მსჯელობის დასასაბუთებლად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გაანალიზა შერჩეული უნივერსიტეტების დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამების[47] თვითშეფასების 64 ანგარიში. ანალიზმა გამოავლინა, რომ **თვითშეფასების ანგარიშები არ მოიცავენ შინაარსზე ორიენტირებულ ინფორმაციას.** შერჩეული ანგარიშების დაახლოებით 80%-ში, მოცემულია უსდ-ის საქმიანობის აღწერა, შესაბამის პროგრამაზე ფოკუსირების გარეშე.

მაგალითად, პირველი სტანდარტის **„დ“** მოთხოვნის თანახმად, პროგრამის სწავლის შედეგები უნდა უზრუნველყოფდეს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას განათლების შემდგომ საფეხურზე და დასაქმების ბაზარზე. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შესწავლილ ერთ-ერთ ანგარიშში, უსდ-მ სტანდარტთან შესაბამისობის დასადასტურებლად წარმოადგინა შემდეგი ინფორმაცია: „საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამის სფეროში არსებული სხვა პროგრამების მსგავსია და სწავლის კომპონენტები, სწავლების მეთოდები, ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები უზრუნველყოფს ადეკვატურ კომპეტენციას.“ აღნიშნულის დასადასტურებლად, უსდ-მ მიუთითა შემდეგ მტკიცებულებებზე: კურიკულუმი, სილაბუსები, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო და უნივერსიტეტის ვებგვერდი. შემდგომი განათლების მიზნებისთვის და დასაქმების ბაზარზე კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის შეფასება მოწოდებული მტკიცებულებით საკმაოდ რთულია. ზემოთ აღნიშნული მდგომარეობა ვრცელდება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ძირითადი შესწავლის ეტაპზე შესწავლილი შემთხვევების უმრავლესობაზე.[48]

განსახილველი ნაკლოვანების კიდევ ერთი მაგალითია მეორე სტანდარტის მოთხოვნა „ბ“, რომლის თანახმადაც, პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. შესწავლილ თვითშეფასების ანგარიშებში სტანდარტების შესრულების დასადასტურებლად, უსდ-ები აღწერდნენ მხოლოდ სწავლების სტრუქტურის შემადგენლობას:

47 იხილეთ დანართი №1

48 დაახლოებით 80%

ლექციები, სემინარები და პრაქტიკული კომპონენტი, რომელიც არ იყო დაკონკრეტებული. უსდ-ები არ აღწერდნენ, თუ როგორ უწყობს ხელს აღნიშნული სტრუქტურა სწავლის მიზნების მიღწევას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გამოავლინა **სტანდარტებთან შესაბამისობის აღწერის რამდენიმე კარგი შემთხვევა.** მაგალითად, ერთ-ერთი სახელმწიფო უსდ-ის სამაგისტრო პროგრამაში ადიქციის კვლევები, საგანმანათლებლო პროცესში გამოყენებული მეთოდების აღწერისას, უსდ-მ წარმოადგინა შემდეგი ჩამონათვალი: ინდივიდუალური და ჯგუფური კვლევითი პროექტები, პრეზენტაციები, განხილვები, სამუშაო ხელმძღვანელობის ქვეშ, კონკრეტული მაგალითების ანალიზი, სიმულაცია, შედეგზე ორიენტირებული სწავლება, ვიდეო ლექციები. დამატებით, პრაქტიკულ კომპონენტთან დაკავშირებით, უსდ იყენებს დაკვირვებას პროფესიონალებზე (Job shadowing) და გამოცდილებით სწავლებას (Experiential learning), რაც მოიცავს კეთებით სწავლებასა (Learning by doing) და რეგულარულ რეფლექციას (Reflection). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული პროგრამის განვითარება მოხდა USAID[49]-თან და CDA[50]-სთან (ჩეხეთის განვითარების სააგენტო) თანამშრომლობით, პრაქტიკული კომპონენტის გაუმჯობესება ხდება EMCDDA[51]-სა (წამლებისა და წამალდამოკიდებულების მონიტორინგის ევროპული ცენტრი) და პრაღაში ჩარლზის უნივერსიტეტის წარმომადგენლების მიერ. სახელმწიფო აუდიტის სამსახური მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში საერთაშორისო დაწესებულებებთან პარტნიორობამ შესაძლებელი გახადა არსებითი მტკიცებულებების მოპოვება და აღნიშნული სტანდარტის სრულყოფილად დაკმაყოფილება. აკრედიტაციის მინიჭება შერჩეული პროგრამების 90%-ისთვის, რომლებიც, თვითშეფასების ანგარიშებსა და ექსპერტთა დასკვნებში წარმოდგენილი ინფორმაციით, არ აკმაყოფილებს სტანდარტს ისე, როგორც ეს ბოლო მაგალითში იყო განხილული, მიუთითებს უსდ-ების სტანდარტების მოთხოვნათა დაკმაყოფილების დადასტურების საშუალებების არაერთგვაროვნებაზე.

დაინტერესებული მხარეების ჩართვა საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში

აკრედიტაციის პირველი სტანდარტის „ე“ მოთხოვნის მიხედვით, პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი დანერგილი უნდა იყოს. ამ მექანიზმის განვითარება მნიშვნელოვანია იქედან გამომდინარე, რომ იგი გავლენას ახდენს საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხზე და შესაძლებელს ხდის, რომ პროგრამა უფრო მოქნილი და ადაპტირებული იყოს აღნიშნული დაინტერესებული პირების საჭიროებებთან.

49 ამერიკის შეერთებული შტატების სააგენტო საერთაშორისო განვითარებისათვის.

50 Czech Development Agency

51 European Monitoring Centre for Drugs and Drug Addiction

სტანდარტის თანახმად, ცენტრმა უნდა უზრუნველყოს, რომ უსდ-ები ითვალისწინებდნენ დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებებს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და განხორციელების პროცესში. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული ექსპერტთა გამოკითხვით გამოვლინდა, რომ დაინტერესებული მხარების ჩართულობა მნიშვნელოვან საკითხად არის მიჩნეული. მიუხედავად ამისა, ცენტრს არ აქვს განსაზღვრული - რა მოცულობით და პროგრამის განვითარების რომელ ეტაპზე უნდა იქნეს უზრუნველყოფილი დაინტერესებული პირების ჩართვა და რა მტკიცებულებები უნდა წარმოადგინოს უსდ-მ ამის დასადასტურებლად. შესაბამისად, ის ფაქტი, რომ უსდ- ები თანამშრომლობენ პოტენციურ დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, **არ დასტურდება თვითშეფასების ანგარიშებში და ექსპერტთა დასკვნებში წარმოდგენილი ინფორმაციის თანდართული მატერიალური მტკიცებულებებით.** აღნიშნული ინფორმაციის არარსებობა უარყოფით გავლენას ახდენს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, რადგან აკრედიტაციის საბჭოს წევრებს არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია აღნიშნული სტანდარტის დაკმაყოფილების შესახებ.

დასკვნა:

წინასწარ განსაზღვრული და ერთობლივი სახით გამოქვეყნებული შეფასების კრიტერიუმებისა და შესრულების ინდიკატორების არარსებობა იწვევს იმას, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები არ არიან ვალდებული და შესაბამისად, არ წარმოადგენენ რელევანტურ და საკმარის ინფორმაციასა და მტკიცებულებებს თვითშეფასების ანგარიშში, რაც აფერხებს აკრედიტაციის სტანდარტებთან საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის ეფექტიან შეფასებას.

3.2 განსხვავებული სტანდარტების იდენტური კრიტერიუმებით დაკმაყოფილება

ცენტრის მიერ დადგენილი აკრედიტაციის სტანდარტების და თვითშეფასების ანგარიშების ანალიზმა გამოავლინა, რომ სხვადასხვა სტანდარტის დაკმაყოფილება შესაძლებელია მსგავსი კრიტერიუმებით. შემდგომმა ანალიზმა აჩვენა, რომ ეს მიგნება, კრიტერიუმებისა და ინდიკატორების ერთიანი სახით არარსებობის გარდა, განპირობებულია იმ ფაქტითაც, რომ სტანდარტები საკმარისად ნათლად არ არის ჩამოყალიბებული. მაგალითად, პირველი სტანდარტის **„ბ“** მოთხოვნას „პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, **სწავლების მეთოდებისა** და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, **უზრუნველყოფს** ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და **სწავლის შედეგების მიღწევას“** აქვს მეორე სტანდარტის **„ბ“** მოთხოვნის „პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული **სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას“ მსგავსი** მოთხოვნები. გარდა ამისა, პირველი სტანდარტის **„ა“ მოთხოვნა: „პროგრამის მიზნები** შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, **ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე** და მიღწევადია“ , ისევე, როგორც ამავე სტანდარტის **„დ“ მოთხოვნა:** „პროგრამის **სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას** საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და **დასაქმების ბაზარზე“** მოითხოვს, რომ პროგრამა ორიენტირებული იყოს დასაქმების ბაზარზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა უსდ-ების საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების 64 ანგარიში. **ანგარიშების 80%-ში განსხვავებულ სტანდარტებთან შესაბამისობის დასადასტურებლად მსგავსი აღწერა იყო გამოყენებული.** ზოგიერთ შემთხვევაში, უსდ-ები მხოლოდ წინა სტანდარტების აღწერაზე მითითებით შემოიფარგლებოდნენ, დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოდგენის გარეშე. აღსანიშნავია, რომ **აღნიშნული პროგრამები უკვე აკრედიტებულია,** შესაბამისად, მოხდა მათი შესწავლა და მიუხედავად ზემოთაღნიშნული გარემოებისა, მათი დამტკიცება, აკრედიტაციის ექსპერტებისა და საბჭოს მიერ.

დიაგრამა 3.1.1: სტანდარტების მოთხოვნების მსგავსება

აღწერა: ზემოთ მოცემული დიაგრამა ნათლად გამოხატავს, რომ სტანდარტების „1-ბ“ მოთხოვნა მოიცავს „2-ბ“ მოთხოვნას



აღწერა: პირველი სტანდარტის „ა“ და „დ“ მოთხოვნაა, რომ პროგრამის შედეგები ორიენ-ტირებული იყოს დასაქმების ბაზარზე.

დასკვნა:

განხილული შემთხვევები ცხადყოფენ, რომ აკრედიტაციის სხვადასხვა სტანდარტის დაკმაყოფილება შესაძლებელია იდენტური კრიტერიუმებით. შესაბამისად, სტანდარტებზე დაფუძნებული თვითშეფასების ანგარიშები არ ემსახურებიან ექსპერტთა და საბჭოს წევრების მიერ გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაციის მოპოვების უპირველეს მიზანს.

რეკომენდაციები სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს:

- აკრედიტაციის სტანდარტების მეტი **კონკრეტულობის, ერთგვაროვნების, აღქმადობისა და მიღწევადობის** უზრუნველსაყოფად, ცენტრმა უნდა იზრუნოს არსებული სტანდარტების მოთხოვნების შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობის ამაღლებაზე და საჭიროების შემთხვევაში, მათი ჩართულობით, **არსებული სტანდარტების გადახედვასა და განახლებაზე.** ამგვარი სტანდარტები არსებითად მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ცენტრმა შეაფასოს უსდების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების მისაღებ ხარისხთან შესაბამისობა.
- აკრედიტაციის სტანდარტების გადახედვისა და განახლების პროცესში, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების **სტანდარტებთან შესაბამისობის სათანადოდ შეფასების მიზნით,** პროგრამასთან დაკავშირებული საჭირო ინფორმაციის მისაღებად, ცენტრმა უნდა დაადგინოს **შეფასების კრიტერიუმები და შესრულების** ინდიკატორები თითოეულ სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში. აღნიშნული კრიტერიუმები და ინდიკატორები უნდა იყოს **გაზომვადი და ნათლად აღსაქმელი,** აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილების ობიექტურობის და ერთგვაროვნების მისაღწევად.

4. ექსპერტთა კორპუსი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესში აკრედიტაციის ექსპერტების ჩართულობას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. დადგენილი რეგულაციების შესაბამისად, ცენტრი პასუხისმგებელია აკრედიტაციის კვალიფიციური ექსპერტების შერჩევაზე. შერჩევის პროცედურა სამი ეტაპისაგან შედგება:

› კანდიდატების შერჩევა განცხადებების საფუძველზე;
› ინტერვიუ შერჩეულ კანდიდატებთან;
› ტესტირება.

კანდიდატები, რომლებიც გაივლიან ზემოთ აღნიშნულ სამივე ეტაპს, **შეირჩევიან აკრედიტაციის** ექსპერტებად. ექსპერტთა შერჩევა პირველად 2011 წლის მაისში განხორციელდა და ექსპერტთა კორპუსის შევსება თითქმის ყოველწლიურად ხდება.

შერჩეული კანდიდატები ხდებიან უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები და საჭიროების შემთხვევაში, ხდება მათი შეყვანა სააკრედიტაციო ვიზიტებისთვის შედგენილ **ექსპერტთა ჯგუფებში.**

4.1 ექსპერტთა კორპუსის არაპროდუქტიული გამოყენება

აკრედიტაციის პროცესში **საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება** უნდა განხორციელდეს **შესაბამისი აკადემიური სფეროს პროფესიონალების მიერ.** აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ექსპერტების სათანადოდ შერჩევა საგანმანათლებლო პროგრამის შესაფასებლად. ისეთი პროგრამის შემოწმებისას, რომელიც ცდება შერჩეული ექსპერტის პროფესიულ მიმართულებას, ამ უკანასკნელს შეუძლია გასცეს ზოგადი დასკვნა პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე, თუმცა შეუძლებელია შინაარსზე ორიენტირებული ანალიზის ჩატარება. შესაბამისი სფეროს ექსპერტების შერჩევა, შეფასებისათვის **გონივრული ვადის** გამოყოფა და ცალკეული ვიზიტისას შესამოწმებელი საგანმანათლებლო პროგრამების **რაოდენობის ადეკვატურობა** თანაბრად მნიშვნელოვანია ექსპერტთა რესურსების სათანადოდ გამოყენებისთვის.

არასათანადოდ ორგანიზებული ექსპერტთა ბაზა წარმოშობს გარკვეულ სირთულეებს განსახილველი პროგრამის შესაბამისი ექსპერტის შერჩევისას. გარდა ამისა, ცენტრი არ არეგულირებს ექსპერტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ვადას და ექსპერტების რაოდენობას. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გამოიკვლია 2011 წლიდან 2015 წლამდე განხორციელებული ყველა აკრედიტაციის ვიზიტი.

დიაგრამა 4.1.1: განხორციელებული აკრედიტაციის ვიზიტები და აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა წლების მიხედვით



მითითებული წლების განმავლობაში, ცენტრის მიერ შედგენილმა ექსპერტთა ჯგუფებმა-განახორციელეს 388 აკრედიტაციის ვიზიტი და შეაფასეს 1,567 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა. ვიზიტების ბაზის ანალიზმა გამოავლინა ქვემოთ განხილული რიგი ნაკლოვანებები.

დიაგრამა 4.1.2: აკრედიტაციის ვიზიტების ნაკლოვანებები წლების მიხედვით[52]



	2011	2012	2013	2014	2015
დარღვევის გარეშე	42%	30%	51%	47%	63%
დარღვევა	58%	70%	49%	53%	38%

52 მაგალითი იხილეთ №3 დანართში, დარღვევების რაოდენობა - №4 დანართში

ზემოთ მოცემულ დიაგრამაში წარმოდგენილი დარღვევები[53] 3 მთავარ ტიპად ერთიანდება:

› შერჩეული ექსპერტების **დარგობრივი მიმართულება განსხვავდებოდა** საგანმანათლებლო პროგრამის სფეროსგან;
› ექსპერტების **რაოდენობა არ იყო საკმარისი** ვიზიტის დროს შესაფასებელი პროგრამებისთვის;
› ექსპერტებს სააკრედიტაციო დოკუმენტების შესასწავლად გამოყოფილი ჰქონდათ **არასაკმარისი დრო.**

ექსპერტების პროფესიული მიმართულების შეუსაბამობა შესაფასებელ პროგრამებთან - ცალკეული ვიზიტისთვის შერჩეულ ექსპერტთა ჯგუფი **არ მოიცავდა ყველა შესაბამისი დარგის ექსპერტს.** ასეთმა შემთხვევებმა აკრედიტაციის ვიზიტების მთლიანი რაოდენობის **29%** შეადგინა. აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამები შედგენილია შესაბამისი პროგრამის მიმართულების პროფესიონალების მიერ, რომელთაც აქვთ შესაბამისი მიმართულებით განათლება, გამოცდილება და გარკვეული რაოდენობის ნაშრომები, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, შინაარსზე ორიენტირებული შეფასება განახორციელოს შესაბამის სფეროში მაქსიმალურად გამოცდილმა ექსპერტმა.

ექსპერტთა არასაკმარისი რაოდენობა - სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გამოავლინა რიგი შემთხვევები, **როდესაც ერთი ვიზიტისას 10-ზე მეტი პროგრამა იქნა შემოწმებული.** დარღვევად იქნა მიჩნეული ისეთი შემთხვევები, როდესაც ცენტრმა ერთი ვიზიტის განმავლობაში **თითოეულ ექსპერტს 2-ზე მეტი პროგრამის განხილვა დააკისრა.**[54] ზოგიერთ შემთხვევაში ექსპერტთა ჯგუფი შედგებოდა მხოლოდ ერთი ექსპერტისგან (და ცენტრის თანამშრომლისაგან), რაც იმას გულისხმობს, რომ **საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება მოხდა მხოლოდ ერთი ინდივიდის მიერ** და არ იქნა განხილული სხვა ექსპერტებთან. ექსპერტის მიერ შემუშავებული ასეთი დასკვნა შესაძლოა, უსდ-მ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს, რაც უარყოფითად იმოქმედებს ექსპერტისა და ცენტრის რეპუტაციაზე. ასეთმა შემთხვევებმა ცენტრის მიერ განხორციელებული აკრედიტაციის ვიზიტების მთლიანი/მთელი ოდენობის **17.5%** შეადგინა.

არაადეკვატური ვადა აკრედიტაციის ვიზიტამდე - 90 დღიანი ვადიდან, რომლის განმავლობაშიც ცენტრმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე, საშუალოდ, 5 დღეა გამოყოფილი ადგილზე ვიზიტისათვის ექსპერტთა ჯგუფის მოსამზადებლად. ამ ვადაში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფილი და შინაარსზე ორიენტირებული შესწავლა რთულია, განსაკუთებით იმის გათვალისწინებით, რომ უმეტეს შემთხვევაში ექსპერტებმა ერთზე მეტი პროგრამა უნდა შეაფასონ. აუდიტმა გამოავლინა, რომ ვიზიტების საერთო რაოდენობის **29%-ში ექსპერტთა ჯგუფს აკრედიტაციის ვიზიტამდე 5 დღეზე ნაკლები ჰქონდა ყველა საჭირო მასალის გასაცნობად,** რაც მოიცავს თვითშეფასების ანგარიშს, პროგრამის კურიკულუმს, სილაბუსებსა და ა.შ..

53 მაგალითები იხილეთ №4 დანართში

54 ანალიზი გამომდინარეობს კონკრეტულ ვიზიტებზე ექსპერტთა და პროგრამების მთლიანი რაოდენობიდან

დიაგრამა 4.1.3: კონკრეტული ტიპის დარღვევების პროცენტული წილი ვიზიტების მთლიანი რაოდენობიდან.



აღწერა: „დარღვევის გარეშე“ აღნიშნავს 2011-2015 წლების განმავლობაში განხორციელებული **იმ ვიზიტების პროცენტულ წილს, რომლებზეც არ დაფიქსირდა აღნიშნული დარღვევა.** მე-4 დიაგრამა ასახავს დარღვევების ჯამურ ოდენობას წლების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევებში ვიზიტისას გამოვლინდა 1-ზე მეტი ტიპის დარღვევა (მაგალითად, დარღვეული იყო ვადა და ექსპერტთა ჯგუფი არ მოიცავდა ყველა შესაბამისი სფეროს ექსპერტს). აქედან გამომდინარე, დარღვევების ჯამური რაოდენობა ნაკლებია ცალკეული ტიპის დარღვევების ჯამზე. შედარებისთვის, წლების მიხედვით დარღვევების ჯამური რაოდენობები მოცემულია 4.1.2 დიაგრამაზე. კონკრეტული მონაცემები იხილეთ №3 დანართში.

მიუხედავად იმისა, რომ ნაკლოვანებათა პროცენტული მაჩვენებელი **ყოველწლიურად იკლებს** (დიაგრამა 4.1.2, დიაგრამა 4.1.3), დარღვევათა პროცენტული წილი **კვლავ საკმაოდ მაღალია.** ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ 2015 წელს განხორციელებულია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მხოლოდ 24 სააკრედიტაციო ვიზიტი.

ექსპერტთა შერჩევა

ცენტრის წამომადგენლებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ ზემოთ განხილულმა გარემოებამ გამოიწვია აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის წესში გამონაკლისის დაშვების[55] აუცილებლობა. აღნიშნული პროცედურა უგულებელყოფს ცენტრის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებსა და პროცედურებს გარკვეული ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი ექსპერტობის კანდიდატებისთვის. ამ წესის მიხედვით დაქირავებულ ექსპერტებს აქტიური სტატუსი აქვთ და მათი უმრავლესობის შერჩევა აკრედიტაციის ვიზიტებისათვის ხშირად ხდება, რაც იმას გულისხმობს, რომ ამჟამად ბაზაში არსებული ექსპერტები შესაძლებელია არ აკმაყოფილებდნენ ცენტრის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ბაზაში 52 ასეთი ექსპერტია, რაც საერთო რაოდენობის 23%-ს შეადგენს (იხილეთ დიაგრამა 4.1.4).

გარდა ამისა, 2011 წელს, ცენტრის მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის ჩამოყალიბებისას, ავტორიზაციის არსებული ექსპერტებისთვის ავტომატურად მოხდა აკრედიტაციის ექსპერტების სტატუსის მინიჭება. ბაზაში 63 ასეთი ექსპერტია, რომლიდანაც 29 ექსპერტის აკადემიური მიმართულება ბაზაში ჯერ კიდევ არ არის მითითებული, რაც საერთო რაოდენობის 13%-ს შეადგენს.

55 სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2013 წლის 5 ნოემბრის №377 ბრძანება „აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2013 წლის 16 სექტემბრის №293 ბრძანებაში დამატების შეტანის თაობაზე“

დიაგრამა 4.1.4: ცენტრის მიერ ექსპერტთა კანდიდატების შერჩევის პრაქტიკა



აღწერა:

ბაზაში არსებული 226 ექსპერტიდან 49%-ის დაქირავება ცენტრის მიერ დადგენილი შერჩევის პროცედურის მიხედვით (კონკურსის წესით) განხორციელდა. ექსპერტობის კანდიდატთა

23% HR პროფესიონალთა გილდიის ან საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის მიერ იქნა წარდგენილი და ცენტრის დირექტორის ბრძანებით დაქირავებული, გამონაკლისის დაშვების წესის მეშვეობით. დარჩენილ 28%-ს წარმოადგენენ ავტორიზაციის ექსპერტები, რომელთაც ავტომატურად მიენიჭათ აკრედიტაციის ექსპერტის სტატუსი. აქედან, თითქმის ნახევრის (საერთო რაოდენობის 13%) აკადემიური მიმართულება ჯერ კიდევ არ არის ბაზაში მითითებული.

დასკვნა:

ექსპერტთა მოუწესრიგებელი ბაზა და თითოეულ აკრედიტაციის ვიზიტზე ექსპერტთა რაოდენობისა და აკრედიტაციის ვიზიტის ხანგრძლივობის რეგულაციის არარსებობა იწვევს ექსპერტთა შეუსაბამო და არაერთგვაროვან შერჩევას. აკრედიტაციის ვიზიტების

29%-ში პროგრამის შეფასება არ განხორციელდა შესაბამისი ძირითადი მიმართულების ექსპერტის მიერ. აკრედიტაციის ვიზიტების 17.5%-ში ცენტრმა არ გამოყო საკმარისი რესურსები ვიზიტისას განსახილველი პროგრამების რაოდენობის გათვალისწინებით. ვიზიტების 29%-ში ექსპერტებს საშუალო პერიოდზე (5 დღე) ნაკლები ჰქონდათ თვითშეფასების ანგარიშებისა და სხვა დაკავშირებული დოკუმენტების შესასწავლად. ამგვარი ნაკლოვანებების თავიდან ასარიდებლად, ცენტრმა მიიღო ახალი წესი, რომელიც უგულებელყოფდა შერჩევის დადგენილ რეგულაციას, რის შედეგადაც ცენტრმა ვერ უზრუნველყო აკრედიტაციის ექსპერტთა ნახევარზე მეტის წინასწარ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობა.

4.2 ექსპერტთა შეფასებისა და შემდგომი რეაგირების სისტემის არარსებობა

ევროპული პრაქტიკის თანახმად, აკრედიტაციის ექსპერტების მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება ხორციელდება რეგულარულად, არსებული ნაკლოვანებების გამოვლენისა და მათი აღმოფხვრის მიზნით, ბაზის განახლების ან ექსპერტთათვის საჭირო უნარების განვითარებისთვის. გავრცელებული მიდგომაა ექსპერტთა შეფასების ან/და ტრენინგის პროცესში საერთაშორისო ექსპერტების ჩართვა.

ჩატარებულმა ინტერვიუებმა და ექსპერტთა გამოკითხვამ აჩვენა, რომ აუდიტის პერიოდში ამ უკანასკნელთა მიერ **შესრულებული სამუშაოს შეფასება ცენტრს არ განუხორციელებია.** აქედან გამომდინარე, ცენტრს არ აქვს ექსპერტთა კორპუსში არსებულ მდგომარეობაზე სრულყოფილი წარმოდგენა, რაც იმას გულისხმობს, რომ შეუძლებელია ექსპერტთა ცოდნის/უნარების გასაუმჯობესებლად საჭირო მიმართულებების განსაზღვრა.

შესაბამისად, ცენტრი არ ავალდებულებს ან სთავაზობს ექსპერტებს, შეფასებისას გამოვლენილი ტრენდების საფუძველზე, ტრენინგის რეგულარული კურსების გავლას. აუდიტის პერიოდში ხორციელდებოდა მხოლოდ სააკრედიტაციო პროცედურების თავდაპირველი გაცნობა ექსპერტებისათვის და შემდგომ ინფორმაციული ხასიათის შეხვედრები: ცენტრის თანამშრომლები აცნობდნენ ექსპერტებს აკრედიტაციის პროცედურაში არსებულ უახლეს ცვლილებებს.

ცენტრის წარმომადგენლებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ **საერთაშორისო ექსპერტების ჩართვისთვის აუდიტის პერიოდში არ არსებობდა საჭირო წინაპირობები,** რაც აფერხებდა აკრედიტაციის პროცესის, კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების, ხარისხის გაუმჯობესებას. გარდა ამისა, ის ფაქტი, რომ საერთაშორისო ექსპერტები არ არიან ჩართულნი აკრედიტაციის პროცესში, აფერხებს საერთაშორისო განათლების სივრცეში საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის ინტეგრირების პროცესსა და გამოცდილების გაზიარების მიზნით, საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობას, რაც, სტრატეგიული გეგმის თანახმად, ცენტრის პრიორიტეტულ მიზნებს წარმოადგენს.

დასკვნა:

ექსპერტების შეფასების მექანიზმების არარსებობამ გამოიწვია ის, რომ ცენტრი არ არის ინფორმირებული ექსპერტთა პროფესიული განვითარების (სტანდარტები, პროცედურები) საჭიროებების შესახებ. შედეგად, არ განხორციელებულა ექსპერტთა ტრენინგი მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგების გაუმჯობესების მიზნით.

რეკომენდაციები სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს:

- ცენტრმა უნდა შეიმუშაოს ექსპერტთა ბაზის ახალი ფორმატი, მისი მიზნისთვის გამოსადეგობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნულ ბაზაში ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული შერჩეული ექსპერტების: რეგისტრაციის თარიღი, დარგობრივი და ქვედარგობრივი მიმართულებები და სამუშაო გამოცდილება, ხელმისაწვდომობა, და სხვა ცენტრის მიზნებისთვის გასათვალისწინებელი კრიტერიუმები. ქმედითი და მუდმივად განახლებადი ბაზა მნიშვნელოვანია აკრედიტაციის ვიზიტებისათვის ექსპერტთა ჯგუფების ეფექტიანად შესადგენად და ახალი ექსპერტების შერჩევის საჭიროების სწორად განსასაზღვრად.
- გათვალისწინებული უნდა იქნეს ბაზაში არსებული ყველა ექსპერტის შესაბამისობა შერჩევის ახალ კრიტერიუმებთან („ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის“ შესაბამისად). უნდა დადგინდეს ექსპერტთა კორპუსის სისტემატური გადახედვისა და განახლების პირობები და დაინერგოს შესაბამისი პროცედურა რათა ექსპერტთა კორპუსი თანხვედრაში იყო ცენტრის საჭიროებებთან.
- სააკრედიტაციო ვიზიტების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, ექსპერტთა ჯგუფის წევრების შერჩევისას, ცენტრმა იმგვარად უნდა განახორციელოს მექანიზმის ადაპტირება, რომ უზრუნველყოფილ იქნას: განსახილველ პროგრამებთან შესაბამისი სფეროს ექსპერტების შერჩევა, საგანმანათლებლო პროგრამაზე ექსპერტთა ადეკვატური რაოდენობა და გონივრული ვადები ექსპერტების მიერ ჩასატარებელი სამუშაოსათვის (ამ უკანასკნელისათვის, ცენტრმა უნდა იმოქმედოს ახლად დანერგილი „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის“ შესაბამისად).
- „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესით“ განსაზღვრული ექსპერტთა შეფასების ფორმების საფუძველზე, ცენტრმა უნდა განახორციელოს აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ განხორციელებული სამუშაოს რეგულარული შეფასება, შედეგების ანალიზი და სათანადო შემდგომი რეაგირების დაგეგმვა. შემდგომი რეაგირება მიმართული უნდა იყოს ექსპერტთა კორპუსის საქმიანობის განვითარებისაკენ. აღნიშნული ხელს შეუწყობს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი და შინაარსზე ორიენტირებული ექსპერტთა დასკვნების შემუშავებას, რაც, თავის მხრივ, გააუმჯობესებს აკრედიტაციის გადაწყვეტილების მიღების პროცესს.

5. გადაწყვეტილების მიღება და შემდგომი რეაგირება

5.1 გადაწყვეტილების მიღების პროცედურის და რესურსების არაერთგვაროვნება

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ზეპირი მოსმენის ფორმით ხორციელდება. აკრედიტაციის საბჭოს წევრებმა სხდომამდე უნდა შეისწავლონ ცენტრის მიერ მიწოდებული დოკუმენტაცია[56] და სხდომის მიმდინარეობისას, საჭიროების შემთხვევაში, კითხვებით მიმართონ პროგრამის წარმომადგენლებსა და ექსპერტებს, გაითვალისწინონ დაინტერესებული პირების არგუმენტები და მონაწილეობა მიიღონ პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანაში. აკრედიტაციის პროცედურების ვადა რეგულირდება აკრედიტაციის დებულებით და შეადგენს 90 დღეს - აკრედიტაციის საფასურის გადახდის დღიდან აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილებამდე.

საბჭოს არ აქვს უსდ-ების პოზიციის სრულფასოვნად გათვალისწინების შესაძლებლობა

აკრედიტაციის **პროცედურებში არ არის გაწერილი მექანიზმი,** რომელიც უზრუნველყოფს, რომ ექსპერტთა დასკვნასთან ერთად, აკრედიტაციის საბჭოს წევრებს გადაეგზავნოთ უსდ-ების **საპასუხო არგუმენტები,** დამადასტურებელი მტკიცებულებებით (საჭიროების შემთხვევაში). შედეგად, უსდ-ების მხრიდან საკუთარი პოზიციის დაფიქსირება ხდება მხოლოდ ზეპირი მოსმენისას, რაც ექსპერტებისა და უსდ-ების წარმომადგენლებისთვის **არათანაბარ ვითარებას** ქმნის. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ასეთ პირობებში საბჭოს წევრები ობიექტურად შეაფასებენ ორივე მხარის არგუმენტებსა და მტკიცებულებებს.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში პროგრამებისთვის გამოყოფილი რესურსების არაერთგვაროვნება

როგორც ზემოთ აღინიშნა, აკრედიტაციის დებულების თანახმად, ცენტრს აქვს 90 დღე საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების, აკრედიტაციაზე უარის თქმის ან მისი გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად. ამ რეგულაციის გარდა, **ცენტრს არ აქვს განსაზღვრული** პროცესის ცალკეული ეტაპებისათვის (მაგალითად, ადმინისტრაციული სამუშაო, ექსპერტთა მომზადება, სააკრედიტაციო ვიზიტი, დასკვნის მომზადება, საბჭოს მოსამზადებელი ვადა) **წინასწარ დადგენილი ვადები** და სხვა **რესურსები**, უსდ-ს მიერ სააკრედიტაციოდ შემოტანილი პროგრამების რაოდენობის

გათვალისწინებით. ასეთი რეგულაციების არარსებობა ქმნის იმის რისკს, რომ თითოეულ პროგრამის შესაფასებლად გამოყოფილი დროის და ადამიანური რესურსები შესაძლოა არ იყოს ერთგვაროვანი, პროგრამების შინაარსის და სირთულის გათვალისწინებით.

---

56 თვითშეფასების ანგარიში, პროგრამის კურიკულუმი, სხვა თანდართული დოკუმენტები, ექსპერტთა დასკვნა მოცემულ საგანმანათლებლო პროგრამაზე

შერჩეული 20 პროგრამის[57] აკრედიტაციის პროცედურების ვადების შესწავლამ გამოავლინა, რომ აკრედიტაციის საბჭო გადაწყვეტილებას საშუალოდ 26 დღეში იღებდა, მაშინ როდესაც არსებული რეგულაციების მიხედვით, გადაწყვეტილების მისაღებად 90 დღეა გამოყოფილი. ცენტრს არ აქვს ერთგვაროვანი მიდგომა თითოეულ მოსმენაზე განსახილველი პროგრამების რაოდენობრივ განაწილებასთან მიმართებაში. რიგ შემთხვევებში, **საბჭოს წევრებისათვის გამოყოფილი დრო არ იყოს საკმარისი ინფორმაციაზე დაფუძნებული შეფასების გასაკეთებლად და დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად.**

ქვემოთ მოყვანილ მოცემულ გრაფიკში ილუსტრირებულია, რომ შერჩეულ შემთხვევებში ცენტრის მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული საქმიანობის ვადა 1-დან 33 დღემდე, ხოლო საბჭოს მომზადებისთვის გამოყოფილი დრო 0-დან 21 დღემდე მერყეობს. შესაბამისად, აკრედიტაციის პროცედურებზე დახარჯული დროის ტრენდის გამოვლენა შეუძლებელია. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ცენტრმა საჭირო დოკუმენტაცია საბჭოს წევრებს სხდომის დღეს ან ერთი დღით ადრე წარუდგინა.

დიაგრამა 5.1.2-ის თანახმად, თითოეულ სხდომაზე განხილული პროგრამების რაოდენობაში არანაირი ტრენდი არ იკვეთება. შესწავლილი შემთხვევების 18%-ში საბჭომ განიხილა 40-ზე მეტი პროგრამა, მაშინ, როდესაც შემთხვევათა 22%-ში თითოეულ მოსმენაზე 10 პროგრამაზე ნაკლები იყო განხილული. საბჭოს სხდომაზე 40 პროგრამაზე მეტის განხილვამ შეიძლება ხელი შეუშალოს გადაწყვეტილების მიღების სათანადო და ერთგვაროვან პროცედურას.

ზემოთ განხილულმა შემთხვევამ გამოავლინა, რომ თითოეულ სხდომაზე განსახილველი პროგრამების რაოდენობა არ აისახებოდა იმ ვადაზე, რაც საბჭოს წევრებს აქვთ გამოყოფილი საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო დოკუმენტებისა და ექსპერტთა დასკვნების შესასწავლად. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფების უსდ-ებში ვიზიტების ბრძანებებისა და ვიზიტის თარიღების შესწავლამ ცხადყო, რომ **შემთხვევათა 41%-ში ვიზიტამდე მოსამზადებელი დრო და/ან ექსპერტების რაოდენობა არ იყო შესაფასებელი პროგრამების რაოდენობის პროპორციული** (იხილეთ დიაგრამა 5.1.3).

57 გამოყენებული იყო შემთხვევითი შერჩევის მეთოდი

გრაფიკი 5.1.1: აკრედიტაციის პროცედურის ვადები



	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
ადმინისტრაციული სამუშაო (ცენტრი)	29	33	7	2	7	4	6	26	1	1	1	1	1	1	10	4	4	7	7	7
ექსპერტთა მომზადება	10	13	2	5	4	3	5	4	3	3	3	3	3	3	5	5	5	6	6	6
ვიზიტი	2	2	2	2	2	3	3	2	4	5	4	4	5	5	1	2	2	2	2	2
დასკვნის მომზადება	7	3	5	5	3	4	1	1	8	3	7	4	3	0	5	3	3	4	4	4
საბჭოს მოსამზადებელი ვადა	10	21	20	2	4	10	8	7	0	4	1	0	0	3	10	14	14	1	1	1

აღწერა: ადმინისტრაციული სამუშაო - უსდ-ების მიერ განცხადებების წარდგენიდან ექსპერტთა ჯგუფის შედგენამდე პერიოდი; ექსპერტთა მომზადება - ექსპერტებისთვის ვიზიტამდე სააკრედიტაციო დოკუმენტების შესასწავლად გამოყოფილი პერიოდი; ვიზიტი - აკრედიტაციის ვიზიტისათვის ექსპერტებისთვის გამოყოფილი პერიოდი; დასკვნის მომზადება - დასკვნის შესამუშავებლად ექსპერტებისთვის გამოყოფილი პერიოდი; საბჭოს მოსამზადებელი ვადა - დოკუმენტების შესასწავლად საბჭოს წევრებისთვის გამოყოფილი პერიოდი; შერჩევა განხორციელდა წლების მიხედვით. ვერტიკალური ღერძი აღნიშნავს პროგრამების რიგითობას, ხოლო ჰორიზონტალური ღერძი - ცენტრის სხვადასხვა საქმიანობისთვის გამოყოფილ პერიოდს.

დიაგრამა 5.1.2: საბჭოს სხდომაზე განხილული პროგრამების რაოდენობა



აღწერა: მოცემული დიაგრამა ასახავს იმ შემთხვევების პროცენტულ მაჩვენებელს, როდესაც სხდომაზე გარკვეული რაოდენობის პროგრამა იყო განხილული. მოხდა აკრედიტაციის საბჭოს 90 სხდომის შემთხვევითი შერჩევა და იმ შემთხვევების დაჯგუფება, როდესაც საბჭოს ერთ სხდომაზე

1-დან 10-მდე, 11-დან 20-მდე, 31-დან 40-მდე, 41-დან 50-მდე და 50-ზე მეტი პროგრამა იყო განხილული. აღსანიშნავია, რომ 30-ზე მეტი პროგრამის განხილვის შემთხვევები ძირითადად ფიქსირდება 2011-2012 წლებში.

დიაგრამა 5.1.3: პროგრამების შესაფასებლად გამოყოფილი დროის და ადამიანური რესურსების საკმარისობა

დასკვნა:

აკრედიტაციის პროცედურები არ მოიცავს მექანიზმს, რომელიც საშუალებას მისცემდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ზეპირ მოსმენამდე წარედგინათ საბჭოსთვის ექსპერტთა დასკვნასთან დაკავშირებით საკუთარი არგუმენტები. აღნიშნული პრაქტიკა შეუძლებელს ხდის საბჭოს მიერ უსდ-ების პოზიციის სათანადო გათვალისწინებას. გარდა ამისა, ცენტრი საგანმანათლებლო პროგრამებს საბჭოს სხდომებზე თანაბრად არ ანაწილებს - საბჭოს სხდომების საერთო რაოდენობის 18%-ში 40- ზე მეტი პროგრამა იქნა განხილული, მაშინ, როდესაც 22%-ში საბჭომ 1-დან 10-მდე პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე მიიღო გადაწყვეტილება.

ზემოთ განხილული გარემოებები ცხადყოფს, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა პროგრამისათვის, მათი შინაარსისა და სირთულის გათვალისწინებით, ერთგვაროვანი რესურსები (დროის და ადამიანური) არ არის გამოყოფილი. ის გარემოება, რომ ცენტრს არ აქვს განსაზღვრული აკრედიტაციის პროცედურების ვადები, უარყოფითად მოქმედებს აკრედიტაციის პროცესის ხარისხზე, რაც გავლენას ახდენს ექსპერტების შეფასებასა და საბჭოს წევრების გადაწყვეტილებაზე.

5.2 შემდგომი რეაგირება - არაეფექტიანი სისტემა

როგორც ზემოთ აღინიშნა, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცედურა ცენტრის მიერ 2011 წელს დაიწყო და 2012 წლის ბოლომდე აკრედიტაცია მიენიჭა პროგრამების საერთო რაოდენობის 67%-ს (2015 წლის ოქტომბრის მდგომარეობით - 1,567). სახელმწიფო აუდიტის სამსახური ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ 2011 წელს ცენტრმა დაჩქარებულ რეჟიმში შეიმუშავა და დანერგა აკრედიტაციის პროცედურები. თუმცა, 2011 წლის შემდგომ პერიოდშიც **არ მომხდარა შემდგომი რეაგირების ეფექტიანი მექანიზმების, მათ შორის, რისკის ანალიზის მეთოდის დანერგვა,** რათა მომხდარიყო განათლების სფეროში განხორციელებული ახალი რეფორმებით განპირობებული ნაკლოვანებების გამოსწორება.

ხარისხის განვითარების არსებული რეგულაციების თანახმად, ცენტრმა უნდა განახორციელოს ყოველწლიური და კონკრეტულ მიზანზე ორიენტირებული (ad hoc) მონიტორინგი. ამ უკანასკნელი ტიპის მონიტორინგი ხორციელდება ცენტრის გადაწყვეტილებით ან აკრედიტაციის საბჭოს ინიციატივით. ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ცხადყოფს, რომ აუდიტის პერიოდში[58] განხორციელდა აკრედიტაციის
ექსპერტთა და/ან საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსის შესაფასებელი მონიტორინგის 28 შემთხვევა, რაც საერთო ჯამში 1,567 აკრედიტებული პროგრამის 1.8%-ია.

უსდ-ები ვალდებული არიან ყოველწლიურად წარუდგინონ ცენტრს თვითშეფასების ანგარიშები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს უკვე აკრედიტებული პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობა. აუდიტმა გამოავლინა, რომ ცენტრს არ განუხორციელებია არცერთი ვიზიტი თვითშეფასების ყოველწლიურ ანგარიშებში წარმოდგენილი ინფორმაციის ნამდვი-

58 2011 წლიდან 2015 წლის პირველი ნახევრის ჩათვლით.

ლობის შესამოწმებლად. როგორც ზემოთ აღინიშნა, ანგარიშების შესწავლა ხდება ცენტრის თანამშრომლების მიერ, თუმცა, **მიზანშეწონილია, შინაარსზე ორიენტირებულ ანალიზს ატარებდეს ექსპერტი, რომელსაც აქვს პროგრამის დარგის შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება.**

შერჩეული ექსპერტთა ჯგუფები ახორციელებენ კონკრეტულ მიზანზე ორიენტირებულ (ad hoc) მონიტორინგის ვიზიტებს, მაგრამ არ არიან ჩართული თვითშეფასების ყოველწლიური ანგარიშების შესწავლაში, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ მონიტორინგის ფუნქცია სათანადოდ არ ხორციელდება. ეს საფრთხეს უქმნის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მუდმივად შენარჩუნებას.

უსდ-ების წარმომადგენლებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ მონიტორინგის ყოველწლიური პროცედურა შესაძლოა არ იყოს ქმედითი იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ყოველწლიური მონიტორინგის მიზნით გამოიყენება თვითშეფასების ყოველწლიური ანგარიშები, რაც მოიცავს მხოლოდ მიმდინარე აკადემიური წლის განმავლობაში მომხდარი ცვლილებებისა და მათი შედეგების აღწერას. ხშირ შემთხვევაში, უსდ-ების მიერ განხორციელებული ცვლილებების სრული ეფექტი არ ჩანს ერთი აკადემიური წლის ვადაში, არსებული სისტემა კი შეუძლებელს ხდის ცვლილებების ხანგრძლივი შედეგების აღწერას.

დასკვნა:

ცენტრის მიერ დანერგილი პროცედურები ვერ უზრუნველყოფს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტიან მონიტორინგს, აკრედიტაციის სრული პერიოდის განმავლობაში ხარისხის შენარჩუნების მიზნით. 2011 წლიდან, ცენტრმა განახორციელა მხოლოდ 28 კონკრეტულ მიზანზე ორიენტირებული მონიტორინგის ვიზიტი, ხოლო თვითშეფასების ყოველწლიურ ანგარიშზე დაყრდნობით, არცერთი ვიზიტი არ განხორციელებულა. აქედან გამომდინარე, ცენტრში არსებული მონიტორინგის სისტემა არ არის ეფექტიანი და არ ემსახურება დასახულ მიზანს.

რეკომენდაციები სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს:

- ცენტრმა უნდა შეიმუშაოს გადაწყვეტილების მიღების გაუმჯობესებული, ქმედითი სტრუქტურა. კერძოდ, მიზანშეწონილია, რომ დაინერგოს პროცედურა, რომლის შედეგადაც **აკრედიტაციის საბჭოს წევრებს, ექსპერტთა დასკვნასთან ერთად, გადაეგზავნებათ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საპასუხო არგუმენტები** და საჭიროების შემთხვევაში, თანდართული დამადასტურებელი მტკიცებულებები. აღნიშნული დაეხმარება საბჭოს წევრებს, თანაბრად შეაფასონ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და აკრედიტაციის ექსპერტების პოზიციები.
- იმისათვის, რომ საბჭოს წევრებს მიეცეთ საკმარისი დრო ზეპირ მოსმენამდე ყველა საჭირო დოკუმენტის შესასწავლად, უნდა განისაზღვროს **აკრედიტაციის პროცესის თითოეული ეტაპისთვის გამოყოფილი დრო და ადამიანური რესურსები,** შესაფასებელი საგანმანათლებლო პროგრამის კომპლექსურობის გათვალის-

წინებით, რათა უზრუნველყოფილ იქნას აკრედიტაციის პროცედურების მაღალი ხარისხი.

› ცენტრმა უნდა შეიმუშაოს და დანერგოს შემდგომი რეაგირების ქმედითი სისტემა აკრედიტებულ პროგრამებთან მიმართებაში. **დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, მონიტორინგისთვის უნდა განისაზღვროს ოპტიმალური პერიოდულობა** და შინაარსზე ორიენტირებული შეფასების მიზნით, **პროცესში უნდა ჩაერთონ შესაბამისი სფეროს აკრედიტაციის ექსპერტები.** უნდა შემუშავდეს და დაინერგოს **რისკის ანალიზის მოდელი,** რომლის საფუძველზეც მოხდება პროგრამების შერჩევა შემდგომი რეაგირების პროცედურებისთვის.

შემაჯამებელი დასკვნა და რეკომენდაციები

საქართველოში განხორციელებული ბოლოდროინდელი კვლევების თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების **კურსდამთავრებულები განიცდიან განათლების შესაბამის სფეროში პროფესიული და პრაქტიკული ცოდნის ნაკლებობას** და უნივერსიტეტში მიღებული განათლება არ პასუხობს დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს. გარდა ამისა, საქართველოში **უმაღლესი განათლების მქონე პირთა მხოლოდ 24%-ია დასაქმებული და მუშაობს საკუთარი პროფესიით.** განათლებისა და დასაქმების ბაზრის ურთიერთკავშირს ქვეყანაში ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. განათლებასა და დასაქმების ბაზარზე არსებულ მოთხოვნას შორის შეუსაბამობის აღმოფხვრა უმაღლესი განათლების სისტემის ერთ-ერთი უპირველესი მიზანია.

იქიდან გამომდინარე, რომ ამ დრომდე უმაღლესი განათლების სექტორში ეფექტიანობის აუდიტი არ ჩატარებულა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გადაწყვიტა, პირველ ეტაპზე შეესწავლა **უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები.**

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა 2011 წლიდან დანერგა **აკრედიტაციის პროცედურა,** რომელიც დღესდღეობით, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის **ძირითად გარე მექანიზმს წარმოადგენს** და 1,500-ზე მეტი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხს უზრუნველყოფს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეისწავლა ცენტრის მიერ შემუშავებული აკრედიტაციის პროცედურა. ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ **ნაკლოვანებები პროცესის ყველა ეტაპზე არსებობს,** რაც მნიშვნელოვნად აფერხებს უმაღლესი განათლების სისტემის მთავარი მიზნის - მსოფლიოს მუდმივად ცვალებადი მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი კომპეტენტური ინდივიდების მომზადების მიღწევას.

აკრედიტაციის სტანდარტების დადგენას, წინასწარ განსაზღვრულ და ერთობლივი სახით გამოქვეყნებულ შეფასების კრიტერიუმებთან და შესრულების ინდიკატორებთან ერთად, პროცესის ეფექტიანობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. აუდიტმა გამოავლინა, რომ ზემოაღნიშულის ერთობლივი სახით არარსებობისას, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები არ არიან ვალდებულნი და შედეგად, **არ წარმოადგენენ შესაბამის და საკმარის ინფორმაციასა და მტკიცებულებებს** თვითშეფასების ანგარიშებისათვის. გარდა ამისა, შესაძლებელია სტანდარტების სხვადასხვა მოთხოვნების ერთი და იმავე კრიტერიუმებით დაკმაყოფილება. შესაბამისად, სტანდარტების ეს **მოთხოვნები თავის მიზანს ვერ აღწევენ.** ყოველივე ზემოაღნიშნული აფერხებს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის ყველა პროგრამისათვის ერთგვაროვან შეფასებას.

აკრედიტაციის არსებულ პროცედურაში ძირითადი სამუშაოს ექსპერტები ასრულებენ. მიუხედავად ამისა, **ცენტრი ვერ უზრუნველყოფს ექსპერტთა კორპუსის სათანადო გამოყენებას.** ექსპერტთა ბაზის არაპროდუქტიული გამოყენება და თითოეულ აკრედიტაციის ვიზიტზე **ექსპერტთა რაოდენობისა და ვადების განსაზღვრის რეგულაციების არარსებობა** აუდიტის პერიოდში, იწვევდა ექსპერტთა შეუსაბამო და არაერთგვაროვან შერჩევას. **აკრედიტაციის ვიზიტების 29%-ში პროგრამის შეფასება არ განხორციელდა შესაბამისი ძირითადი მიმართულების ექსპერტის მიერ. აკრედიტაციის ვიზიტების 17.5%-ში ცენტრმა არ გამოყო საკმარისი რესურსები ვიზიტისას განსახილველი პროგრამების რაოდენობის გათ-**

ვალისწინებით. ვიზიტების 29%-ში ექსპერტებს საშუალო პერიოდზე (5 დღე) ნაკლები ჰქონდათ სააკრედიტაციო დოკუმენტების შესასწავლად.

ამგვარი ნაკლოვანებების თავიდან ასარიდებლად, ცენტრმა შეცვალა არსებული რეგულაციები და **შესაძლებელი გახდა ექსპერტობის გარკვეული კანდიდატების ექსპერტთა ბაზაში შეყვანა სავალდებულო კონკურსის გვერდის ავლით.** შედეგად, აკრედიტაციის ექსპერტთა ნახევარზე მეტის კვალიფიკაცია **შესაძლოა არ იყოს წინასწარ განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისი.** აქ გათვალისწინებულია ის გარემოებაც, რომ 2011 წელს მოხდა ავტორიზაციის ექსპერტების აკრედიტაციის ექსპერტებად ავტომატური დარეგისტრირება. აღნიშნული ცხადყოფს, რომ ცენტრს არ აქვს შემუშავებული სისტემური მიდგომა ექსპერტთა ბაზის შექმნისა და ქმედითად შენარჩუნებისათვის. ამასთანავე, აუდიტის პერიოდში **არ ხდებოდა ექსპერტთა კორპუსის მიერ გაწეული საქმიანობის შეფასება და შემდგომი რეაგირება.**

საკითხის შესწავლამ გამოავლინა, რომ ცენტრი იშვიათად იყენებს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული პროცედურებისთვის დებულებით დადგენილ 90 დღიან ვადას პროდუქტიულად. რომ **თითოეულ სხდომაზე განსახილველი პროგრამების რაოდენობა** არ აისახებოდა იმ **ვადაზე, რაც საბჭოს წევრებს აქვთ გამოყოფილი** საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო დოკუმენტებისა და ექსპერტთა დასკვნების შესასწავლად. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფების უსდ-ებში ვიზიტების ბრძანებებისა და ვიზიტის თარიღების შესწავლამ ცხადყო, რომ **შემთხვევათა 41%-ში ვიზიტამდე მოსამზადებელი დრო და/ან ექსპერტების რაოდენობა არ იყო შესაფასებელი პროგრამების რაოდენობის პროპორციული.**

გადაწყვეტილების მიღების პროცესის ანალიზმა გამოავლინა, რომ **აკრედიტაციის პროცედურა არ მოიცავს მექანიზმს,** რომლის მეშვეობითაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, ზეპირ მოსმენამდე გონივრული ვადით ადრე, წერილობით წარუდგენენ საბჭოს ექსპერტთა დასკვნასთან დაკავშირებით საკუთარ არგუმენტებს. აღნიშნული პრაქტიკიდან გამომდინარე, საბჭოს არ აქვს ექსპერტებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების **პოზიციების თანაბრად შეფასების შესაძლებლობა.**

2011 წლიდან ცენტრმა განახორციელა მონიტორინგის მხოლოდ 28 ვიზიტი, რამაც, საერთო ჯამში, 1,567 აკრედიტებული პროგრამის 1.8% მოიცვა. თვითშეფასების ყოველწლიური ანგარიშების საფუძველზე არ განხორციელებულა **მონიტორინგის არცერთი ვიზიტი.** აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა დაასკვნა, რომ ცენტრის მიერ დანერგილი პროცედურები **ვერ უზრუნველყოფს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის შესაბამისი ხარისხის შენარჩუნებას აკრედიტაციის სრული პერიოდის განმავლობაში,** რაც გულისხმობს, რომ ცენტრის მიერ შემუშავებული მონიტორინგის სისტემა არ არის ეფექტიანი და თვითშეფასების ყოველწლიური ანგარიშები არ ემსახურება ძირითად მიზანს.

განათლების სისტემის ეროვნული რეფორმის ფარგლებში 2010 წლის ბოლოს დაიწყო აკრედიტაციის პროცესის დანერგვა, შემუშავდა აკრედიტაციის სტანდარტები და 2011- 2012 წლებში განხორციელდა 1,054 პროგრამის აკრედიტაცია. **მიუხედავად იმისა, რომ გამოვლენილი მიგნებები გარკვეულწილად გამოწვეული იყო იმით, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესი დაჩქარებული წესით მიმდინარეობდა, ჯერ კიდევ არსებობს მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები.** უფრო გვიან აკრედიტირებული პროგრამების ანალიზით (2013-2015 წლებში აკრედიტებული 513 პროგრამა) გამოვლინდა, რომ ცენტრის მხრიდან

არ განხორციელებულა დანერგილი სტანდარტებისა და პროცედურების არსებითი გაუმჯობესება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელებულ ანალიზსა და შეფასებაზე დაყრდნობით, **ცენტრს აქვს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის გაუმჯობესების პოტენციალი.** ამ მიზნით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს:

› აკრედიტაციის სტანდარტების მეტი **კონკრეტულობის, ერთგვაროვნების, აღქმადობისა და მიღწევადობის** უზრუნველსაყოფად, ცენტრმა უნდა იზრუნოს არსებული სტანდარტების მოთხოვნების შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობის ამაღლებაზე და საჭიროების შემთხვევაში, მათი ჩართულობით, **არსებული სტანდარტების გადახედვასა და განახლებაზე.** ამგვარი სტანდარტები არსებითად მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ცენტრმა შეაფასოს უსდების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების მისაღებ ხარისხთან შესაბამისობა.

› აკრედიტაციის სტანდარტების გადახედვისა და განახლების პროცესში, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების **სტანდარტებთან შესაბამისობის სათანადოდ შეფასების მიზნით,** პროგრამასთან დაკავშირებული საჭირო ინფორმაციის მისაღებად, ცენტრმა უნდა დაადგინოს **შეფასების კრიტერიუმები და შესრულების ინდიკატორები** თითოეულ სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში. აღნიშნული კრიტერიუმები და ინდიკატორები უნდა იყოს **გაზომვადი და ნათლად აღსაქმელი,** აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილების ობიექტურობის და ერთგვაროვნების მისაღწევად.

› ცენტრმა უნდა შეიმუშაოს ექსპერტთა ბაზის ახალი ფორმატი, მისი **მიზნისთვის გამოსადეგობის უზრუნველსაყოფად.** აღნიშნულ ბაზაში ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული შერჩეული ექსპერტების: რეგისტრაციის თარიღი, დარგობრივი და ქვედარგობრივი მიმართულებები და სამუშაო გამოცდილება, ხელმისაწვდომობა, და სხვა ცენტრის მიზნებისთვის გასათვალისწინებელი კრიტერიუმები. ქმედითი და მუდმივად განახლებადი ბაზა მნიშვნელოვანია აკრედიტაციის ვიზიტებისათვის ექსპერტთა ჯგუფების ეფექტიანად შესადგენად და ახალი ექსპერტების შერჩევის საჭიროების სწორად განსასაზღვრად.

› გათვალისწინებული უნდა იქნეს ბაზაში **არსებული ყველა ექსპერტის შესაბამისობა შერჩევის ახალ კრიტერიუმებთან** („ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის“ შესაბამისად). უნდა დადგინდეს ექსპერტთა კორპუსის **სისტემატური გადახედვისა და განახლების** პირობები და **დაინერგოს შესაბამისი პროცედურა** რათა ექსპერტთა კორპუსი თანხვედრაში იყო ცენტრის საჭიროებებთან.

› სააკრედიტაციო ვიზიტების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, ექსპერტთა ჯგუფის წევრების შერჩევისას, ცენტრმა იმგვარად უნდა განახორციელოს **მექანიზმის ადაპტირება,** რომ უზრუნველყოფილ იქნას: **განსახილველ პროგრამებთან შესაბამისი სფეროს ექსპერტების შერჩევა, საგანმანათლებლო პროგრამა-**

ზე ექსპერტთა ადეკვატური რაოდენობა და გონივრული ვადები ექსპერტების მიერ ჩასატარებელი სამუშაოსათვის (ამ უკანასკნელისათვის, ცენტრმა უნდა იმოქმედოს ახლად დანერგილი „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის" შესაბამისად).

› „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესით" განსაზღვრული ექსპერტთა შეფასების ფორმების საფუძველზე, ცენტრმა უნდა განახორციელოს **აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ განხორციელებული სამუშაოს რეგულარული შეფასება, შედეგების ანალიზი და სათანადო შემდგომი რეაგირების დაგეგმვა.** შემდგომი რეაგირება მიმართული უნდა იყოს ექსპერტთა კორპუსის საქმიანობის განვითარებისაკენ. აღნიშნული ხელს შეუწყობს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი და შინაარსზე ორიენტირებული ექსპერტთა დასკვნების შემუშავებას, რაც, თავის მხრივ, გააუმჯობესებს აკრედიტაციის გადაწყვეტილების მიღების პროცესს.

› ცენტრმა უნდა შეიმუშაოს გადაწყვეტილების მიღების გაუმჯობესებული, ქმედითი სტრუქტურა. კერძოდ, მიზანშეწონილია, რომ დაინერგოს პროცედურა, რომლის შედეგადაც **აკრედიტაციის საბჭოს წევრებს, ექსპერტთა დასკვნასთან ერთად, გადაეგზავნებათ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სა-პასუხო არგუმენტები,** და საჭიროების შემთხვევაში, თანდართული დამადასტურებელი მტკიცებულებები. აღნიშნული დაეხმარება საბჭოს წევრებს, თანაბრად შეაფასონ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და აკრედიტაციის ექსპერტების პოზიციები.

› იმისათვის, რომ საბჭოს წევრებს მიეცეთ საკმარისი დრო ზეპირ მოსმენამდე ყველა საჭირო დოკუმენტის შესასწავლად, უნდა განისაზღვროს **აკრედიტაციის პროცესის თითოეული ეტაპისთვის გამოყოფილი დრო და ადამიანური რესურსები,** შესაფასებელი საგანმანათლებლო პროგრამის კომპლექსურობის გათვალისწინებით, რათა უზრუნველყოფილ იქნას აკრედიტაციის პროცედურების მაღალი ხარისხი.

› ცენტრმა უნდა შეიმუშაოს და დანერგოს შემდგომი რეაგირების ქმედითი სისტემა აკრედიტებულ პროგრამებთან მიმართებაში. **დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, მონიტორინგისთვის უნდა განისაზღვროს ოპტიმალური პერიოდულობა** და შინაარსზე ორიენტირებული შეფასების მიზნით, **პროცესში უნდა ჩაერთონ შესაბამისი სფეროს აკრედიტაციის ექსპერტები.** უნდა შემუშავდეს და დაინერგოს **რისკის ანალიზის მოდელი,** რომლის საფუძველზეც მოხდება პროგრამების შერჩევა შემდგომი რეაგირების პროცედურებისთვის.

ბიბლიოგრაფია

საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020.

საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ (10.12.2005).

საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ (05.08.2010).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბის №99/ნ ბრძანება „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანება „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2013 წლის 16 სექტემბრის №293 ბრძანება „აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2013 წლის 5 ნოემბრის №377 ბრძანება „აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2013 წლის 16 სექტემბრის №293 ბრძანებაში დამატების შეტანის თაობაზე“.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 1 სექტემბრის №716 ბრძანება „უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 1 სექტემბრის №717 ბრძანება „ავტორიზაციის და აკრედიტაციის ექსპერტთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 1 სექტემბრის №718 ბრძანება "ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ".

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 15 მარტის №184 ბრძანება „აკრედიტაციის ექსპერტთა წესის დამტკიცების შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2013 წლის 16 სექტემბრის №293 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 17 სექტემბრის №760 ბრძანება აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის ფორმების დამტკიცების შესახებ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2013 წლის 30 აპრილის №145 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზაციული სტრუქტურა. http://eqe.ge/geo/static/57/about-us/structure

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიული გეგმა 2013-2017; http://www.mes.gov.ge/content.php?id=84&lang=eng

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო, 2011.

ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის, 2014.

High Level Group on Modernisation of Higher Education - Report to the European Commission on Improving the Quality of Teaching and Learning in Europe's Higher Education Institutions; 2013 http://ec.europa.eu/education/library/reports/modernisation_en.pdf

ბოლონიის დეკლარაცია, http://www.mes.gov.ge/content.php?id=1856&lang=geo

ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩო, https://ec.europa.eu/ploteus/content/descriptors-page

ხარისხის უზრუნველყოფა და აკრედიტაცია: საბაზისო ტერმინები და დეფინიციების ლექსიკონი, UNESCO-CEPES, 2007.

ACT - ანალიზის და კონსულტირების ჯგუფი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბრენდის იმიჯისა და გამოცდილების კვლევა, 2012.

განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი (EPPM); უმაღლესი განათლების გავლენა სამუშაო ძალის ფორმირებაზე, 2013.

National Evaluation and Accreditation Agency of Bulgaria (NEAA); Procedure for Selection of Experts.

European Association for Quality Assurance in Higher Education (EQAR); Standards and Guidelines for Quality Assurance in the European Higher Education Area; 2005

The Council of the Slovenian Quality Assurance Agency for Higher Education; Criteria for Entry in the Register of Experts; 2010

EKKA Quality Assessment Council; Conditions and Procedure for Institutional Accreditation; 2011

The World Bank; Georgia -Education Sector Policy Review: Strategic Issues and Reform Agenda; 2014

დანართები

დანართი №1

#	დაწესებულების სახელწოდება	წელი	პროგრამა	საფეხური
1	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	2011	სამართალი	ბაკალავრიატი
2	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	2011	ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი, საბანკო და საფინანსო საქმე, სპორტის მენეჯმენტი)	ბაკალავრიატი
3	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	2011	სადაზღვეო საქმე	მაგისტრატურა
4	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	2011	ბიზნესის ადმინისტრირება	დოქტორანტურა
5	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	2011	სოციალური მეცნიერებები (პოლიტიკის მეცნიერებები, სოციოლოგია, გამოყენებითი ფსიქოლოგია)	ბაკალავრიატი
6	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	2011	არქიტექტურა	ბაკალავრიატი
7	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	2014	ადიქციის კვლევები	მაგისტრატურა
8	სიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2011	მეტალურგია	ბაკალავრიატი
9	სიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2011	მანქანათმშენებლობა	ბაკალავრიატი
10	სიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2011	აგროიჟინერია	ბაკალავრიატი
11	სიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2011	ეკოლოგია	ბაკალავრიატი
12	სიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2011	ეკონომიკა	ბაკალავრიატი
13	სიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2012	საჯარო მმართველობა	მაგისტრატურა
14	სიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2012	ბიზნესის ადმინისტრირება	მაგისტრატურა
15	სიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2012	ჟურნალისტიკა	მაგისტრატურა
16	სიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2012	სასურსათო ტექნოლოგია	მაგისტრატურა

17	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2012	გარემოს დაცვის ინჟინერია	დოქტორანტურა
18	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2015	ევროპისმცოდნეობა	მაგისტრატურა
19	სსიპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2011	ჟურნალისტიკა	ბაკალავრიატი
20	სსიპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2011	საჯარო მმართველობა	ბაკალავრიატი
21	სსიპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2011	ტურიზმი	ბაკალავრიატი
22	სსიპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2011	სატყეო საქმე	ბაკალავრიატი
23	სსიპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2013	ეკოლოგია	დოქტორანტურა
24	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	2012	მშენებლობა	ბაკალავრიატი
25	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	2012	გეოლოგია	ბაკალავრიატი
26	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	2012	საერთაშორისო ურთიერთობები	ბაკალავრიატი
27	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	2012	ინფორმატიკა	ბაკალავრიატი
28	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	2012	საგზაო ინჟინერია	მაგისტრატურა
29	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	2012	საჯარო მმართველობა	მაგისტრატურა
30	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	2012	არქიტექტურა	ბაკალავრიატი
31	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	2015	ურბანისტიკა	დოქტორანტურა
32	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2011	ბიზნესის ადმინისტრირება	ბაკალავრიატი
33	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2011	ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა	მაგისტრატურა

34	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2011	სამართალი	ბაკალავრიატი
35	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2011	ევროპისმცოდნეობა	მაგისტრატურა
36	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2011	კავკასიოლოგია (ქართულენოვანი)	ბაკალავრიატი
37	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2011	კავკასიოლოგია	ბაკალავრიატი
38	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2011	არმენოლოგია	ბაკალავრიატი
39	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2011	ეკოლოგია	ბაკალავრიატი
40	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2011	გეოლოგია	ბაკალავრიატი
41	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2011	კომპიუტერული მეცნიერებები	ბაკალავრიატი
42	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2011	ფსიქოლოგია	ბაკალავრიატი
43	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2011	სოციოლოგია	ბაკალავრიატი
44	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2011	გენდერის კვლევა	მაგისტრატურა
45	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2011	ტურიზმი	ბაკალავრიატი
46	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2012	ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი	დოქტორანტურა
47	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2014	საჯარო მმართველობა	მაგისტრატურა

48	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2015	გენდერის კვლევა	მაგისტრატურა
49	ააიპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	2011	აგროინჟინერია	ბაკალავრიატი
50	ააიპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	2011	სატყეო საქმე	ბაკალავრიატი
51	ააიპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	2011	მევენახეობა-მეღვინეობა	ბაკალავრიატი
52	ააიპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	2012	საერთაშორისო სამართალი	მაგისტრატურა
53	ააიპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	2012	საჯარო მმართველობა	მაგისტრატურა
54	ააიპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	2012	საზოგადოებრივი ურთიერთობები	მაგისტრატურა
55	შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	2011	საერთაშორისო ურთიერთობები	ბაკალავრიატი
56	შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	2011	ბიზნესის ადმინისტრირება	ბაკალავრიატი
57	შპს - თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	2013	მშენებლობა	ბაკალავრიატი
58	შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	2011	არქეოლოგია	ბაკალავრიატი
59	შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	2012	ჯანდაცვის მენეჯმენტი	მაგისტრატურა
60	შპს - კავკასიის უნივერსიტეტი	2014	ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი	მაგისტრატურა
61	შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	2011	გეოლოგია	ბაკალავრიატი
62	შპს - ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი	2011	გარემოს ინჟინერია და უსაფრთხოება	ბაკალავრიატი
63	შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	2011	ფინანსები	ბაკალავრიატი
64	შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	2014	უმაღლესი განათლების ადმინისტრირება	მაგისტრატურა

დანართი №2

სტანდარტი:		
საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა და შემდგომი განვითარება		
მოთხოვნები	**შეფასების კრიტერიუმები**	**შესრულების ინდიკატორები**
› უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ახალი საგანმანათლებლო პროგრამა უნდა ეყრდნობოდეს შრომის ბაზრის მიზნებს და საჭიროებებს. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იყოს ქვეყნის სტრატეგია და საზოგადოების მოლოდინი; › პროგრამის განვითარებისთვის საჭირო ქმედებები უნდა იყოს სისტემური და რეგულარული, უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაინტერესებული მხარეების ჩართულობა; › პროგრამის კურსდამთავრებულთა კმაყოფილება სწავლების ხარისხით და დამსაქმებლების კმაყოფილება კურსდამთავრებულთა მიერ გაწეული სამუშაოს ხარისხით უნდა იყოს გამოკვლეული და გაანალიზებული, ხოლო აღნიშნულის შედეგები საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში უნდა იყოს გამოყენებული.	› პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელებული ქმედებები რეგულარულია, სისტემურია; › სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები) ჩართულები არიან საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში; › კურსდამთავრებულთა და შრომის ბაზრის უკუკავშირი კურსდამთავრებულთა მომზადების ხარისხის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე შემოწმებული და შეფასებულია, ანალიზის შედეგები გამოყენებულია არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებელ ქმედებებში; › უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ახალი პროგრამების განვითარებას იწყებს შრომის ბაზრის მიმდინარე და განვითარების პერსპექტივიდან გამომდინარე მოთხოვნების, ასევე საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით; › საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლების კომპონენტებისა და მეთოდების გარე შეფასების შედეგები შესწავლილი და გაანალიზებულია და გამოიყენება პროგრამის განვითარებისათვის.	› სტუდენტების კმაყოფილება სწავლების ხარისხით; › კურსდამთავრებულთა კმაყოფილება სწავლების ხარისხით; › დამსაქმებელთა კმაყოფილება კურსდამთავრებულთა მომზადების ხარისხით; › საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფების ხარისხობრივი შეფასების შედეგები; › ინსტიტუციური მიზნებით წარმოქმნილი სხვა ინდიკატორები, მაგალითად: ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა, ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა და ა.შ.

დანართი №3

	2011	2012	2013	2014	2014	სულ:	
ვიზიტები	88	94	80	102	24	388	
დარღვევები	51	66	39	54	9	219	
%	58.0%	70.2%	48.8%	52.9%	37.5%	56.4%	
დარღვევის გარეშე	37	28	41	48	15	169	
%	42%	29.8%	51.3%	47.1%	62.5%	43.6%	
დარღვევის ტიპი	2011	2012	2013	2014	2015	სულ:	%
ვადა	9	15	21	23	5	73	18.8%
ვადა, რაოდენობა	2	1	1	4	1	9	2.3%
რაოდენობა	7	4	4	9	1	25	6.4%
რაოდენობა, დარგობრივი მიმართულება	7	11	1	3	0	22	5.7%
დარგობრივი მიმართულება	16	23	7	11	1	58	14.9%
ვადა, დარგობრივი მიმართულება	5	7	4	3	1	20	5.2%
ვადა, რაოდენობა, დარგობრივი მიმართულება	5	5	1	1	0	12	3.1%

დანართი №4

ბრძანების გამოცემის თარიღი	წარდგენილი პროგრამები	ექსპერტების დარგობრივი მიმართულებები	ვიზიტის თარიღი	დარღვევის ტიპი	პროგრამები, რომლებსაც არ ფარავს ექსპერტთა დარგობრივი მიმართულებები
14.11.2014	ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, გერმანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, ისტორიის საბაკალავრო პროგრამა, ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა, ქართული სალიტერატურო ენის სამაგისტრო პროგრამა, ანგლისტიკის სამაგისტრო პროგრამა, საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	1.ფილოლოგია გერმანული ფილოლოგია; 2.ფილოლოგია აკადემიური წერა; 3.ისტორია თურქოლოგია; 4. ცენტრის თანამშრომელი	20.11.2014 21.11.2014 22.11.2014	რაოდენობა, დარგობრივი მიმართულებები	ანგლისტიკა, ინგლისური, რუსული
27.11.2014	საჯარო მმართველობის სამაგისტრო და სამართლის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები	1.სამართალი; 2.სამართალი; 3.ცენტრის თანამშრომელი	01.12.2014 02.12.2014 03.12.2014	ვადა, დარგობრივი მიმართულებები	საჯარო მმართველობა
03.12.2014	არქეოლოგიის საბაკალავრო, არქეოლოგიის სამაგისტრო, არქეოლოგიის სადოქტორო და სამოსის დიზაინის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები	1.ისტორია თურქოლოგია; 2.ხელოვნებათმცო-დნეობა; 3.ცენტრის თანამშრომელი	08.12.2014 09.12.2014	დარგობრივი მიმართულებები	არქეოლოგია
13.06.2012	მათემატიკის, გამოყენებითი მათემატიკის, ფუნდამენტური ფიზიკის, გამოყენებითი ფიზიკის, ბიოფიზიკის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, ინფორმაციული სისტემების, კომპიუტერული მეცნიერებების, ქიმიის, ქიმიური ექსპერტიზის, ბიოლოგიის, გეოლოგიის, გეომორფოლოგიის, კარტოგრაფიისა და ლანდშაფტური დაგეგმარების, ფიზიკური გეოგრაფიისა და გარემოს მდგრადი განვითარების, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის, კომპიუტერული მეცნიერების, მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, გეოლოგიის, გეოგრაფიის, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის, გამოყენებითი ეკოლოგიის სადოქტორო პროგრამები	1.სამართალი/ქიმია/ ბიზნესი 2.ფიზიკა; 3.მათემატიკა; 4.ბიოლოგია; 5.არქიტექტურა/ დიზაინი; 6.ეკოლოგია/ გარემოთმცოდ ნეობა; 7.ქიმია; 8.ინჟინერია/ მანქანათმშენებ ლობა/მეტალურგია/ მასალა თმცოდნეობა/ ლითონების დამუშავება	19.06.2012 20.06.2012 21.06.2012	დარგობრივი მიმართულე-ბები, რაოდენობა	ინფორმაცული ტექნოლოგიები, ინფორმაციული სისტემები, კომპიუტერული მეცნიერებები, გეოგრაფია.

07.09.2011	აღმოსავლური ფილოლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობის დამატებითი პროგრამა; გერმანული ენა და ლიტერატურის, ინგლისურის ენა და ლიტერატურის, რუსული ენა და ლიტერატურის, ქართული ენა და ლიტერატურის, ფრანგული ენა და ლიტერატურის, არქეოლოგიის, ფილოსოფიის, ისტორიის საბაკალავრო პროგრამები	1.ისტორია კულტურის კვლევები; 2.ქართული ფილოლოგია; 3.ფილოლოგია გერმანული ფილოლოგია; 4.ფილოლოგია; 5.ხელოვნებათმცო-დნეობა; 6.ცენტრის თანამშრომელი	12.09.2011 13.09.2011 14.09.2011	დარგობრივი მიმართულებები	ფრანგული, რუსული, ინგლისური, არქეოლოგია
13.09.2011	თავისუფალი მეცნიერებების, სოციალური მეცნიერებების (პოლიტიკის მეცნიერებები, სოციოლოგია, გამოყენებითი ფსიქოლოგია); ევროპისმცოდნეობის, პოლიტიკის მეცნიერებების (საერთაშორისო ურთიერთობები, ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები, საბჭოთა კვლევები, პოლიტიკის ანთროპოლოგია); საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების, მედიისა და კომუნიკაციის (პრაქტიკა, კვლევა, მენეჯმენტი), სოციოლოგიის, სოციალური სამუშაოს, ინფორმაციის მენეჯმენტის ბაკალავრო პროგრამები; სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამა	1.ჟურნალისტიკა; 2.სამართალი; 3.სოციოლოგია/ ფილოსოფი ა; 4.ცენტრის თანამშრომელი 5.ცენტრის თანამშრომელი	15.09.2011 16.09.2011 17.09.2011	ვადა, რაოდენობა, დარგობრივი მიმართულებები	ევროპისმცო-დნეობა, პოლიტიკის მეცნიერებები, ფსიქოლოგია, საჯარო პოლიტიკა, სოციალური სამუშაო
09.11.2012	სამართალმცოდნეობის, ჟურნალისტიკის, საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამები; სამართლის; კერძო სამართლის; სისხლის სამართლის; სამაგისტრო პროგრამები.	1.სამართალი; 2.სამართალი; 3.ჟურნალისტიკა, 4.ცენტრის თანამშრომელი	15.11.2012 16.11.2012	დარგობრივი მიმართულებები	საერთაშორისო ურთიერთობები

06.03.2012	მერქნული მასალების ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამა; სატრანსპორტო ლოჯისტიკის, საავტომობილო ტრანსპორტის, ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის, ტელეკომუნიკაციის, კრიმინალისტიკური ტექნიკისა და ტექნიკური ექსპერტიზის, ელექტროენერგეტიკის, მშენებლობის, ხარისხის მართვის, ტექნიკური ექსპერტიზის, გარემოს დაცვისა და საინჟინრო ეკოლოგიის, სასურსათო ტექნოლოგიის, მუსბუქი მრეწველობის ტექნოლოგიის, ფარმაცევტული პრეპარატების ტექნოლოგიის, ტექსტილის ტექნოლოგიის, ლანდშაფტური არქიტექტურის, აგროინჟინერიის, სუბტროპიკული კულტურების გადამუშავების ტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამები; მასალების, ტექნოლოგიური პროცესებისა და მანქანების, სამშენებლო ნაგებობების, სატრანსპორტო პროცესების ორგანიზაციისა და მართვის, ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგიისა და მართვის, ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგიისა და მართვის, სასურსათო ტექნოლოგიის, გარემოს დაცვის ინჟინერიის, მსუბუქი მრეწველობის ტექნოლოგიისა და მასალათმცოდნეობის, ქიმიურ-ფარმაცევტული და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ტექნოლოგიის, სპეციალური ტექსტილის ტექნოლოგიისა და მასალათმცოდნეობის, მათემატიკური მოდელირების ინჟინერიის სადოქტორო პროგრამები	1.ინჟინერია/ მშენებლობა; 2.ინჟინერია მანქანათმშენებ-ლობა მეტალურგია მასალა თმცოდნეობა ლითონების დამუშავება 3.ქიმია/ქიმიური ინჟინერია; 4.არქიტექტურა/ დიზაინი; 5.ცენტრის თანამშრომელი	12.03.2012 13.03.2012 14.03.2012	რაოდენობა, დარგობრივი მიმართულებები	სატრანსპორტო ლოჯისტიკა, საავტომობილო ტრანსპორტი, ელექტრო-ენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგია და მენეჯმენტი, ტელეკომუნი-კაცია, ელექტრო-ენერგეტიკა, გარემოს დაცვა და საინჟინრო ეკოლოგია, სასურსათო ტექნოლოგია, მსუბუქი მრეწველობის ტექნოლოგია, ტექსტილის ტექნოლოგია, აგროინჟინერია, სუბტროპიკული კულტურების გადამუშავების ტექნოლოგია, სატრასნპორტო პროცესების ორგანიზაცია და მართვა, მათემატიკური მოდელირება

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ. თბილისი. ქ. წამებულის გამზირი 696
ტელ: +995 32 2438438